საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 23 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ჯდება 15 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხეზედ 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 267 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 267

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული მამა სტეფანე თადეოზის ძე, დები: ნეონილა (ლოლა) თამარა, ალექსანდრა (საშა) სულაკაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 21 ნოემბერს დილით 1 საათზე უდროვოთ გამოეთხოვა სიცოცხლეს, პირველის ძვირფასი შვილი და დანარჩენის ძვირფასი დაუვიწყარი ძმა

დავითი (დათიკო) სტეფანეს ძე სულაკაძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ანდრიევის ქ. № 81 საკუთარ ბინაზე, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(3764 1—1)

შვილები: გიორგი, იოსებ, ნიკოლოზ და მიხეილ თამაზაშვილები: და—მართა და სიძე—ტატო ქუთუშვილი; რძლები: ნინა, მარო, თამარო და ნინა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 23 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი ძვირფასს და დაუვიწყარ დედის

ბარბარე ლაზარეს ასულის თამაზაშვილისა

(1—1.

ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს

დ ე ლ ე გ ა ც ი ა

და დაბინავდა ჩრდილოეთის ნომრებში ოთახი № 35. დელეგაციის თავმჯდომარე ღებულობს ყოველ კვირას გარდა 12 საათ. 2 საათამდე.

(3684—7—7)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს. დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

დიდუბის ელექტრონის სადგურის ადმინისტრაცია

აცხადებს თავის აბონენტების საყურადღებოთ, რომ ელექტრონის ძალის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა სინათლის ფასი შემოტანილ იქნეს სადგურის კანტორაში

ყოველთვიურად თვის ათ რიცხვამდე

კანტორა მოთავსებულია ძმ. „სეილანოვების" თამბაქოს ქარხანასთან ელისაბედის ქ. № 125.

(3750—2—2)

მეორე ქართული კლუბი

დღეს, სამშაბათს

სინემატოგრაფი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ამ მოკლე ხანში კლუბში გაიმართება იაფ ფასიანი სასადილო,

(ნ. 1—1)

ქართული კლუბი

თანახმად საგანგებო საზოგადო კრების წევრთა დადგენილებისა 22 ნოემბრიდან მამასახლისთა საბჭო ხსნის კლუბის დარბაზში

იაფ ფასიან სასადილოს.

სადილი ორი თავი საჭმელი პურით ღირს 100 მან.

სადილები 2—5 საათამდის.

(ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, ნოემბრის 23 ს საღამოთი

მ ე ო რ ე ჯ ე რ

„უგვირგვინო მეფენი"

ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხუთშაბათს, ნოემბრის 25 ს

1. დარისპანის გასაჭირი

2. ირინეს ბედნიერება

შაბათს, ნოემბრის 28 ს

ზ ღ ვ ა ს თ ა ნ

ენგელისა.

ბილეთები კასაში.

(ნ. 1—1)

ანგორის რწმუნებული

გაზეთებში მოთავსებულია ინტერვიუ ანგორის მთავრობის წარმომადგენელთან, რომელიც დღეს თფილისში იმყოფება. ინტერვიუ თვით წარმომადგენლის ქიაზიმ-ბეისგან არის წერილობით გადაცემული და მაშასადამე შიგ ყოველი სიტყვა აწონილი უნდა იყოს, როგორც დიპლომატიურ ნოტაში. ბ-ნი ქიაზიმ ბეი—საქართველოს მეგობრობას უცხადებს თავის მთავრობის სახელით. ჩვენ ამის წინააღმდეგი აბა რა გვექნება? მეგობრობა მეზობლებთან ჩვენთვის ყველაზე სანუკვარი საგანია. სამწუხაროთ ამ მეგობრობის განცხადებას არ ახლავს ქიაზიმ ბეის სიტყვებში რამდენ-მეთ მკაფიოთ გამოთქმული პასუხი სამეზობლო კითხვებზე. მას დაუსვეს კითხვა: რა საზღვრებში სცნობთ თქვენ დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიას? როგორ უყურებს ანგორის მთავრობა ქართველ მუსულმანებს, განსაკუთრებით ბათომს და მის ოლქსო? კითხვა როგორც ხედავთ მეტად პირდაპირი და სწორია.

ქიაზიმ-ბეი ამ კითხვებზე მხოლოდ ისეთ პასუხს იძლევა, რომლიდანაც სჩანს, რომ „საქართველოში მცხოვრები მუსულმანები პატივსცემით ეპყრობიან საქართველოს". „რაც შეეხება საზღვრების საკითხს, ამის თაობაზე მე მაქვს მიწერ-მოწერა ანგორის მთავრობასთან". ბათომსა და მის ოლქზე კი სრულიად არაფერს ამბობს. ბ-ნი ქიაზიმ ბეი გვპირდება ანგორის მთავრობას სურს საქართველო იყოს დამოუკიდებელი და ძლიერი მხოლოდ, და რომ ანატოლიასა და საქართველოს შესახებ საკითხების გადაჭრაში უმთავრესი მნიშვნელობა ექნება ამ საფუძველს. აქედან ცხადია ერთი რამ. ანგორის მთავრობას სურს მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან. ხოლო რომ მას სადაო არაფერი ქონდეს საქართველოსთან — ამას ქიაზიმ-ბეი ვერ ამბობს. ბათომზე ხომ სულ ხმას არ სძრავს... დასკვნა აქედან ადვილი გასაკეთებელია. მართალია ჩვენი რესპუბლიკა აღმოცენდა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე. მისი საზღვრები არსად არ გაშორებია ყოფილ რუსეთის საზღვრებს. არ გაშორებია მით უმეტეს არც ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებს საქართველოისას. მაშასადამე ჩვენსა და ანატოლიის შორის საზღვრების საკითხს არ უნდა ქონდეს სადაო ხასიათი, თუ ანგორის მთავრობას დამპყრობითი მიზნები არ ასულდგმულებს.

საქართველო ყოველთვის მოკლებული იყო აგრესიულ მიზნებს. იგი მუდამ თავდაცვით კმაყოფილდებოდა. ამ შემთხვევაშიაც მისი მიზანია—თავიდან აიცილოს გარეშე ძალების შემოსევა. ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ყარსის და გუმრის ამბები განმეორდეს ჩვენს ტერიტორიაზე.

ანგორის მთავრობამ, თუ ის მართლა გულით არის მიწადინებული ჩვენთან მეზობლურ განწყობილებას, ამის თვალსაჩინო გარანტიები უნდა დაგვანახვოს. ეს კი შეიძლება მხოლოდ საჯარო განცხადებით, რომ ბათომის ოლქი და საერთოთ სამხრეთის საზღვრის საკითხი მას ჩვენთან სადაოთ არ მიაჩნია. წარსული წლების განმავლობაში იყო მეტად მწარე წუთები, როცა ოსმალოს ჯარი შუაგულ საქართველომდე შემოიჭრა და ჩვენი უდავო ტერიტორიები დაისაკუთრა. ბრესტის და ბათომის ხელშეკრულებანი დღესაც არა-სასიამოვნო მოგონებას ქმნიან ყოველი ქართველის მეხსიერებაში. ამ ისტორიულ შეცდომებზე ხელის აღება საბოლოოთ, და საქართველოს ბუნებრივი საზღვრების ცნობა, ერთად ერთი გზაა დღეს კეთილ მეზობლობის. სანამ ეს გარანტია არ არსებობს, ჩვენ ვერ ვეტყვით ქართველ ხალხს, გულდამშვიდებით უცქირე შენი მეზობლის იარაღის ჟღარუნს-თქო. სანამ ეს არ განხორციელებულა, საქართველო ვერ იქნება იმედიანათ თავის სამხრეთ საზღვრების შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ამ საზღვრებზე საქართველოს ტერიტორია ქართველ მუსულმანებით არის დასახლებული, რომ იგინი მაშასადამე ეროვნებით, ტომით ჩვენი სისხლი არიან, სარწმუნოებით კი მაჰმადს აღიარებენ. ამ უკანასკნელ მომენტზე დაყრდნობა მთავრობის მხრივ კი შექმნის მეტად როთულ მდგომარეობას და დაარღვევს მეზობლობას. მაგრამ საკმარისია სალი ნაციონალური პოლიტიკა ქემალის მხრივ, რომ საქართველოს დემოკრატიამ მასთან შესძლოს გამიჯვნა ყველა ინტერესების. ჩვენ არ ვედავებით ოსმალეთს მის ტერიტორიაზე. არ გვაქვს სურვილი ოსმალეთა შინაურ დავაში ჩარევის. მხოლოდ ვამბობთ იმას, რაც არა ერთხელ გვითქვამს: ჩვენი საზღვარი—არავისგან გადასათელავი არ გახლავთ. იგი უნდა შეურხებელი იყოს.

აი ესაა ნიადაგი კეთილმეზობლობის და მშვიდობიანობის.

საერთაშორისო მდგომარეობა.
(მცირე ანტანტა)

ევროპაში ვითომდა გათავდა ომი, გამარჯვებულთ და დამარცხებულთ შორის შეკრულ იქმნა ზავი, ხალხთა ლიგასაც ჩაეყარა ერთნაირი საფუძველი. მაგრამ ჯერ კიდევ არც ეს ზავი, არც ხალხთა ლიგა არ არის მტკიცე საფუძველზე აგებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შექმნილ მდგომარეობით დღეს არც ერთი სახელმწიფო არ არის კმაყოფილი, არც ერთს მშვიდობიანი მომავლის იმედი არ აქვს. დღეს ბევრს აღარ სწამს ის აზრი, რომ ხელ ახალი ომი მომავალში ან ახლო მომავალში ვითომ შეუძლებელია. თვითოეული სახელმწიფო ცდილობს თავისი მდგომარეობა გაამაგროს და ყოველივე მოულოდნელობას თავი დააღწიოს. ყველაზე უფრო ეს მოულოდნელობა აშინებს პატარა სახელმწიფოებს.

დღეს ჟურნალ გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ მცირე ანტანტის შექმნაზე. ჩეხო-სლოვაკიის მინისტრი—ბენესი მიემგზავრება ბუქარესტში დიპლომატიური ნაბიჯების გადასადგმელათ. რუმინიის მინისტრი ტაკე იონესკო მოგზაურობს პრაგაში, პარიზში, ლონდონში და ყველგან ამ მცირე ანტანტის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს. ჩეხო სლოვაკიის მინისტრი—ბენესის აზრით დღეს მცირე ანტანტაში უნდა შედიოდეს: ჩეხო-სლოვაკია, სამხრეთსლავია და რუმინია. ეს სამი სახელმწიფო უნდა შეკავშირდეს და საერთო ძალით უზრუნველყოს თავისი თავი გარეშე საფრთხისაგან, რომ მათ მათი შინაური პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება მშვიდობიანი გზით ვითარდებოდეს. ამ გარეშე საშიშროებას, ბენესის აზრით, დღეს წარმოადგენს უნგრეთი და ცენტრალური ევროპა ერთნაირათ საშიშარია ჩეხო სლოვაკიისათვის, სამხრეთ-სლავიისათვის და რუმინიისათვის. ამიტომაც საჭიროა ამ უკანასკნელთა კავშირი და სოლიდარული მოქმედებაო.

რუმინიას კი ამ სამ სახელმწიფოს კავშირი არ აკმაყოფილებს. რუმინიას აქვს სადავო საკითხები უნგრეთთან და ბოლგარიასთან. რუმინიას აგრეთვე ყველაზე უფრო აფიქრებს მოსალოდნელი კონფლიქტი რუსეთთან. მას ხომ რუსეთთანაც აქვს სადავო საკითხები (ბესარაბია და სხ.) თუ ჩეხოსლოვაკიისათვის და სამხრეთსლავიისათვის უნგრეთისაგან თავდასაცავათ საკმარისი იქნება მათი რუმინიასთან კავშირი, რუსეთისაგან თავდასაცავათ რუმინია კი არ კმაყოფილდება ამ სამთა კავშირით. ამიტომაც რუმინია ცდილობს ჩეხო სლოვაკიის, სამხრეთსლავიის და რუმინიის სამთა კავშირს მიუმატოს კიდევ პოლონეთი და საბერძნეთი, ესე იგი შექმნას ხუთთა კავშირი. ერთ ხუთ გამარჯვებულ ქვეყნებთა კავშირი რუმინიას უფრო უზრუნველყოფს რუსეთისაგან, ვიდრე სამთა კავშირიო.

რუმინიას არ აკმაყოფილებს სამთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია და სამხრეთსლავია ეჭვის თვალით უყურებს ხუთთა კავშირს. რომ ჩეხოსლოვაკია და სამხრეთსლავია ამ ხუთთა კავშირში შევიდეს, ერთ დღეს რუსეთის და პოლონეთის ან რუმინიის შორის კონფლიქტის დროს ისინი უნდა გამოვიდნენ და ჩაბმულ იქნან ომში დიდ და ძლიერ რუსეთის წინააღმდეგ. მათი აზრით კი ეს შეუძლებელია; თანაც ჩეხოსლოვაკელები და სამხრეთსლავიანები, როგორც რუსეთის მონათესავე ხალხი მის წინააღმდეგ ვერ იქნებაო.

ამნაირათ, მცირე ანტანტა, წარმოიშობა ის სამთა თუ ხუთთა კავშირის სახით, უსათუოდ იქნება ხელოვნური რამ და მისი არსებობა არ იქნება დიდ დროული. თანაც სულ ადვილი შესაძლებელია, რომ არ მოხდეს არავითარი შეთანხმება და მცირე ანტანტის იდეას თავი გაანებონ.

ერთი მხრივ არსებობს გამარჯვებულ დიდ ქვეყნებთა ანტანტა, ეხლა სურთ დაარსონ მცირე ანტანტა გამარჯვებულ პატარა სახელმწიფოებისა. და ყველა ეს ანტანტები მიმართულია დამარცხებულ ქვეყნების წინააღმდეგ. ომი ვითომ გათავდა, მაგრამ ყველა კიდევ საომრათ ემზადება. კონფლიქტების და ომების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა არა ცალ-ცალკე ანტანტების დაარსება და მათი სხვების წინააღმდეგ გამოყენება, არამედ ყველა სახელმწიფოების, თვითოეული ერის ერთ ანტანტაში, ერთ კავშირში თავის მოყრა და იქ შეთანხმებით მუშაობა. დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ერთა ლიგა, სადაც შევლენ ყველა ერები, აი რას შეუძლია გაანელოს ერთა შორის კონფლიქტი და უკმაყოფილება.

ქ. გ—ძე.

პრესა

საქართველოს ჯარის ნაწილები გადავიდნენ ეგრეთ წოდებულ ნეიტრალურ ზონაში, ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ეს არის აუცილებლობა თავდაცვის ინტერესებით გამოწვეული, რომ ამას გვიკარნახებდა მოსალოდნელი საფრთხე. ასე გაიგო ეს საქმე იქაურმა მცხოვრებლებმა, რომელნიც განურჩევლად ეროვნებისა, ჩვენი ჯარის იქ შესვლას სიხარულით შეეგებენ; მაგრამ უკმაყოფილო დარჩა მუდმივი მთესვარი განხეთქილებისა და შურის—თფილისელი დაშნაკელების გაზეთი: „აშხატავორი" და (№ 256). იგი შემდეგს სწერს:

„სომხის მშრომელი ხალხის თავის არსებობის შენახვისათვის სისხლიანმა ბრძოლამ თავის პირველ ხანებში ქართულ პოლიტიკურ წრეებში თანაგრძნობა იპოვა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამაც განსაკუთრებული ფორმულიროვკით გამოსთქვა თავისი სიმპატია...

„სომეხ და ქართველ მშრომელთა წრეებში კარგათ მომწიფებული იყო სომეხ-ქართველთა სამხედრო ხელშეკრულების საჭიროება. ამ მიმართულებით ბევრი დაიწერა. პასუხისმგებელმა და არა პასუხისმგებელმა პირებმა აღფრთოვანებული სიტყვებიც წარმოსთქვეს, მაგრამ საქმე ამით გათავდა და სომეხი ჯარების დამარცხებასთან ერთად გამოიცვალა აგრეთვე ქართველ მმართველ წრეების და პრესის დამოკიდებულებაც.

„ქართული შოვინისტური გაზეთები მოითხოვენ, რომ დაეკავებიათ ნეიტრალური ზონა, რადგან საქართველოს საზღვრებს მტერი მოსდგომიაო. და ეხლა როგორც გვატყობინებენ სანაინიდან, მთავრობას გადაუდგამს მეტი ნაბიჯიც. ქართულ ჯარებს დაუკავებიათ ნეიტრალური ზონა და ფიქრობენ დაიკავონ თვით სოფელი შაჰალიც.

ხმებია ქართველმა ჯარებმა გადალახეს სომხეთის საზღვრებიო.

„ასე, საქართველოს მთავრობის „მეგობრობა" უცნაური ხდება. მთავრობა სარგებლობს სომხეთის მძიმე მდგომარეობით, იკავებს არა თუ „სადავო", არამედ უდავო სომხეთის ნაწილებსაც.

როგორ უნდა აიხსნას მთავრობის ამისთანა მიუტევებელი მოპყრობა სომეხი დემოკრატიისადმი...

„ნუ თუ საჭიროა ითქვას, რომ ძალიან ცდებიან ქართველი შინგაზრდილი პოლიტიკოსები, თუ ადრევე ჯვარს უსვამენ სომხეთს. უნდა დაბოლოს ის აზრი შეითვისონ მათ, რომ თუ არ იქნება სომხეთი, არ იქნება საქართველოც. ამიტომ „შემთხვევით სარგებლობის" პოლიტიკა გარდა სახელის გატეხისა, არაფერს მოუტანს. რაგინდ სომეხი დემოკრატია სუსტი არ იყოს დღეს, ვერ დაივიწყებს ამ ეთ ტაქტიკას, რაც ნიშნავს ზურგიდან მახვილის ჩაცემას და დახმარების მაგიერ გაჭირვებულ დროს მეზობლის გაძარცვას. ვიცით, ქართული ხელმძღვანელი წრეები საკმარისად ოსტატნი არიან „ახსნან" და გაამართლონ თავისნთი ნაბიჯები. მეტიც; ხვალ ეცდებიან ეს ნაბიჯი გაასაღონ როგორც ერთი მეგობრული აქტი,— მაგრამ გვგონია, ქართველ და სომეხ დემოკრატიისთვის უნდა ცხად იყოს, რომ დღეს მეორდება ძველი ისტორია და სოციალ პატრიოტების მისწრაფებებს ახალი ძალა მიუღიათ ოსმალეთის ფაშების დანახვაზე..

„ჩვენ გვინდა ამ გარდამავალ, ისტორიულ მომენტში ნათელათ გავხადოთ რევოლუციონურ მშრომელ ხალხისთვის, თუ რას შნო აქვთ ქართველ მენშევიკებს და რამდენათ „თანდათანობითი", „მეგობრული" და „პატიოსანი" ქცევაა მათი მოქმედება.

ამავე დროს გვინდა ისიც ვთქვათ, რომ ამ ტაქტიკას შეუძლია მხოლოდ ხელოვნური მტრობა გამოიწვიოს ორი ერთი ბედის ქვეშ მყოფ ხალხს შორის.

„და თუ ეს ტაქტიკა დაუყოვნებლივ არ გამოსწორდა, ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ მთელი სომეხი და ქართველ მშრომელი ხალხის უკეთესი ნაწილი აღსდგება ქართველი მენშევიკების შინგაზრდილი იმპერიალიზმის ასალაგმავად"...

დამშვიდდით, ბ-ნნო დაშნაკებო, არავითარი იმპერიალისტური საწადლებანი არ განხორციელებულა. საქართველომ მართალია რუსეთთან ხელშეკრულებით მიიღო ბორჩალო, მაგრამ ამით არ უსარგებლია და ძალით ეს ხელშეკრულება სომხეთისთვის თავზე არ მოუხვევია. პირიქით იგი დაადგა შეთანხმების და მოლაპარაკების გზაზე. ამ შემთხვევაშიაც, იგი არ ფიქრობს დროებით ჩვენი ჯარის იქ ჩასვლით ისარგებლოს ამ საკითხის ძალით გადასაჭრელათ. ქართველი მხედრობა მიდის ბორჩალოში საქართველოს საზღვრების სიუკეთოთ დასაცავათ და ამით თვით ბორჩალოს მცხოვრებლების უზრუნველსაყოფათ კარზე მომდგარ ხიფათისაგან, რომლის რეალობაში თვით „აშხატავორსაც" არ უნდა ქონდეს ეჭვი. ჩვენ დღესაც მომხრე ვართ ეს საკითხი გაჭირვებაში მყოფ სომხეთთანაც ისე გადაჭრათ მორიგებით, როგორც დალნინებაში მყოფთან ვერიდით.

დაშნაკური პოლიტიკა მუხანათური თავდასხმა, მსგავსად 1919 წლის დამლევისა, საქართველოს დემოკრატიას არ სჩვევია და იგი ამას არც იკადრებს.

სომხეთის მთავრობა და პასუხისმგებელი წრეები გვგონია უნდა მიხვედრილიყვნენ ნაბიჯის ამ ეთის მნიშვნელობაზე. ამით აიხსნება, რომ იგინი პროტესტს არ აცხადებენ. „აშხატავორი" კი მაინც ცდილობს ატმოსფერის მოწამვლას... ჩვენ ამიტომ გვინდა აშკარათ და ნათლათ გამოვთქვათ ერთხელ კიდევ სომხის ხალხის და დემოკრატიის საყურადღებოთ:

საქართველოს ჯარის შესვლა საერთოთ ბორჩალოს სადავო ნაწილში არის მხოლოდ თავდაცვით გამოწვეული ნაბიჯი. ბედი ამ კუთხის უნდა გადაწყდეს შეთანხმებით ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის და არა იარაღით. ამ აზრს იცავს საქართველოს დემოკრატია და ამ აზრს ვერ გადუდგება მისი ნდობით აღჭურვილი მთავრობა. ნერვიულობის შექმნა, რასაც ცდილობს „აშხატავორი" მხოლოდ ხელს უშლის და ადუნებს თავდაცვის ენერგიას. და ჩვენ გვწამს, რომ სომხეთის ხალხი ამ მავნე სულის სიტყვებს არ აჰყვება.

* * *

„საქართველოსა" და „სახალხო საქმეს" შორის ცხარე კამათია. როგორც ვიცით „საქართველომ" ერთბაშათ მთელი მთავრობის გადადგომა მოითხოვა. შემდეგ მადა შეიმოკლა და რამდენიმე მინისტრის გადადგომა მოითხოვა. 5 ნოემბერს, მთავრობას ნდობა გამოუცხადა, ხოლო—13—მისი გადადგომა მოითხოვა.

„სახალხო საქმემ" აღნიშნა ნაციონალ დემოკრატების ეს აბრუნდი და „საქართველო" შესაფერათაც გაწკეპლა. „საქართველოს" გარდა გაჩუმებისა არ დარჩენოდარა, მარა ის მაინც არ ცხრება და „სახალხო საქმეს" თავისებურათ ამკობს.

„სახალხო საქმე" უკანასკნელ ნომერში ერთხელ კიდევ აძლევს პასუხს „საქართველოს" და სხვათა შორის სწერს:

„ნაციონალ-დემოკრატები ფეხის ხმას აჰყვნენ და მომენტით სპეკულაციის გაწევა მოინდომეს. მაგრამ პოლიტიკა მათ მრევლის მიერ შეყვარებული სტერლინგი ხომ არ არის, რომ სამ დღეში ორ ხჯერ იცვლებოდეს? კაი სიმტკიცე კი ექნებოდა ნაციონალ-დემოკრატების პოლიტიკას, ღმერთს რომ ელირსებინა და მათთვის საქართველოს მესაჭეობა ერგუნებინა."

„მომენტით სპეკულაცია"—ეს ერთად ერთი დანიშნულებაა „საქართველოს" და მისი პარტიისა.

სპეკულიანტების გაზეთს—გარდა სპეკულაციისა აბა რა მოეთხოვება მეტი!

საქართველოს კოოპერატივთა რწმუნებულების ყრილობა

24 ნოემბერს იხსნება კოოპერატივთა რწმუნებულების ყრილობა. ეს კრება წლის დასაწყისში უნდა შემდგარიყო მაგრამ ცენტრალური კავშირის („ცეკავშირი") გამგეობამ ვერ შესძლო თავის დროზე დაესრულებია გასული 1919 წლის ანგარიშები. ეხლა, როგორც იქნა ეს ანგარიშები დამთავრდა და წარედგინება რწმუნებულთა ყრილობას დასამტკიცებლათ. გარდა წარსული წლის ანგარიშების განხილვისა, დღის წესრიგში დგას ბევრი სხვა საკითხებიც: ინსტრუქციების განხილვა და დამტკიცება, სარევიზიო კომისიის მოხსენება, კოოპერატიულბანკის გამგეობის მოხსენება და სხ. მაგრამ ცენტრალურ საკითხებათ უნდა ჩაითვალოს ორი საკითხი: კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა; კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მომავალი გამომდინარეობს წარსულიდან. წარსული კი ვერ იძლევა იმედებს. მოკავშირეთა ბიურომ, რომელშიდაც შედიან რაიონულ კავშირების წარმომადგენლები არა ერთხელ უსაყვედურა ცეკავშირის გამგეობას, რომ ის თავის დროზე ანგარიშს ვერ ადგენს. ბიუროს უკანასკნელმა სხდომამ მწვავე ხასიათი მიიღო. უმრავლესობა რაიონო კავშირის წარმომადგენლებისა უსაყვედურებდა ცეკავშირის გამგეობას უმოქმედობას, უინიციატივობას და სხ. სარევიზიო კომისიას ჯერ არ უთქვამს თავისი სიტყვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის პირნათლათ შეასრულებს თავის საპასუხისმგებლო როლს.

არ შეიძლება არ შევჩერდეთ საერთოდ ჩვენი პარტიული ამხანაგების დამოკიდებულებაზე კოოპერაციასთან. უმრავლესობას კოოპერაცია მიაჩნდა უბრალო სავაჭრო დაწესებულებათ. ბევრნი კოოპერატორებს სპეკულიანტებს უწოდებენ. ძლიერ ცოტა სთვლიდა კოოპერაციას სოციალისტურ მოძრაობათ. პარტიულმა ყრილობამ ბოლო მოუღო ასეთ შეხედულებას. მან სცნო კოოპერაცია მოძრაობათ, რომელიც ხელს უწყობს სოციალიზმის დამყარებას. მაგრამ პრაქტიკული პოლიტიკა ინერციით ისევ ძველია. მთავრობა, სადაც ჩვენი ამხანაგები სხედან, არ აქცევს კოოპერაციას სათანადო ყურადღებას, მაშინ. როდესაც დასავლეთ ევროპაში დემოკრატიული მთავრობები (იქა-აქ ბურჟუაზიულიც კი) ეყრდნობიან კოოპერაციას ეკონომიურ პოლიტიკის გატარების დროს, ჩვენში ამას ვერ ვხედავთ. ეს, რასაკვირველია, მძიმე პირობებს ქმნის კოოპერაციაში.

მომავალში იმედი გვაქვს ეს ასე არ იქნება. კოოპერაციას აქვს დიდი და საუკეთესო აპარატი. მის ცენტრალურ კავშირს აქვს არა ნაკლები მნიშვნელობა, ვიდრე ამა თუ იმ სამინისტროს. განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენი პატარა ქვეყანა იმყოფება მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში. პარტია ვალდებულია დაეხმაროს კოოპერაციაში მომუშავე ამხანაგებს და გამონახოს ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიანთ გაუძღვნენ ამ დიდ აპარატს. ვიმეორებ, კოოპერაციას შეუძლიან დიდი როლი ითამაშოს. კოოპერატივების ქსელი მოდებულია მთელ საქართველოში. მის საშუალებით შეიძლება საქართველოს სოფლებს და ქალაქებს მივაწოდოთ ყოველგვარი საქონელი. მეორე მხრივ კოოპერატივების საშუალებით სოფლებიდან შეიძლება გამოზიდვა სურსათ-სანოვაგის და ნედლეულობის, რომელიც გამოდგება სავალიუტო საქონლათ. გარდა ამისა შეიძლება დაახლოვება საზღვარ გარეთ კოოპერაციასთან, უკანასკნელი ძლიერ მდიდარია და შე-

დღეს

ლიონის ცნობით რუსეთ პოლონეთის ხაზავო მოლაპარაკება შეწყდა.

საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობის გამო ინგლის-საფრანგეთს შორის აზრთა სხვადასხვაობა—არ არსებობს.

ახალი კაბინეტის დადგენილებით ნოემბრის 28-ს საბერძნეთში მოხდება პლებისციტი მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნების საკითხის გამოსარკვევად.

ფრანგული ცნობით ყირიმიდან სტამბოლში მისულა 80 ათასი სამხედრო ლტოლვილი და 25 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები.

ავსტრიის ახალი კაბინეტში უმრავლესობა ქრისტიან-სოციალისტთა პარტიას ეკუთვნის.

კარტონ დე-ვივიარტმა შეადგინა ბელგიის ახალი კაბინეტი. იუსტიციის მინისტრად კვლავ ემილ ვანდერველდე დარჩა.

საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით ნოემბრის 20 სომხეთის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. დროებითი ზავის პირობების დარღვევის შემთხვევა არ ყოფილა.

უძლიან ჩვენი დ ხმარება. ყველაფერი ამის გაკეთება შეიძლება, თუ მმართველი პარტიის მხრივ შესაფერი ყურადღება მიექცა კოოპერაციას.

კოოპერატორი.

ქართველი მუსულმანები და მისი დემოკრატია

VI

მეჯლისი და ავტონომია.

მიმდინარე წლის 7 ივლისს ინგლისელების დროშა, რომელიც გამომხატველი იყო ანტანტის ძალა-უფლებისა ბათომში, ძირს დაეშვა და მის ნაცვლათ აღიმართა საქართველოს ეროვნული დროშა. ამ მოვლენას ერთად მიესალმენ ბათომის ქართველობა და ბათომში არსებული უცხო სახელმწიფოების დაწესებულებები. მიესალმა მეჯლისი თავისებურათ.

ზოგიერთებს აკვირვებს ის გარემოება, რომ დემოკრატიის გამარჯვების შემდეგ მეჯლისი დემოკრატიას ოპოზიციაში ჩაუდგა;—აკვირვებს იმათ, რომლებიც ბათომის ამბებიდან შორსა სდგანან. მაგრამ აქ საკვირველი არაფერია, თუ მოვიგონებთ იმას, რომ ეს ორგანიზაცია მხოლოდ პოლიტიკურათ არის მატარებელი ნაციონალური იდეისა; სოციალურათ კი ის გამოხატავს ფეოდალებისა და ბურჟუაზიის იდეოლოგიას. ამიტომ, ცხადია, როდესაც მან დაინახა, რომ ჩვენ დავიწყეთ იქ დემოკრატიული მუშაობა,—იგი ოპოზიციაში გადავიდა. რასაკვირველია აჭარა გურია ან იმერეთი არ არის; ის მხოლოდ აჭარაა თავისებური ცხოვრებით, რომელიც უფრო განუვითარებელია, ვიდრე დასახელებულ მხარეებში. აქ არის ისეთი საქმეები, რომლებიც დღეს უნდა იქნეს გაკეთებული და ისეთი, რომელიც ხვალ და ზეგ. რასაკვირველია, ჩვენ ყველანი წინააღმდეგნი ვართ შეცდომებისა და ბოროტმოქმედებების. მაგრამ როდესაც ამ შეცდომებითა და ბოროტმოქმედებებით ხსნიან ზოგიერთები უკანასკნელ ხანებში იქ შექმნილ ვითომცდა სერიოზულ მდგომარეობას და რომ ამ უკანასკნელს ნამდვილ სერიოზულ ხასიათს აძლევენ,—ესენი ან ვერ იცნობენ ადგილობრივ მოვლენებს, ან ფაქტებს ზერელეთ უყურებენ და ანალიზს არ უკეთებენ, ან კიდევ მათ ამოქმედებთ კერძო თუ ჯგუფური ინტერესები. ნამდვილათ საქმე აი რაშია:

როდესაც დრო დადგა და გაჩნდა ისეთი ძალა, რომელიც ცდილობს დიდი ხნით გარეშე თუ შინაურ ძალების გამო ჩაგვრა-მონობაში და ტირანიის ქვეშ მყოფი სამუსლიმანო საქართველოს დემოკრატია სამშვიდობოს გამოიყვანოს,—მეჯლისიც ახმაურდა და იწყო ბრძოლა ამ ძალის წინააღმდეგ; იგი ამით, თითქოს, ცდილობს მოიხვეჭოს ოფიციალური ავტორიტეტი და თავისი გავლენა ბათომში და მის ოლქში შეინარჩუნოს. ამ მიზნით იყო გამოგზავნილი მეჯლისის დელეგაცია მიმდინარე წლის აგვისტოში მთავრობასთან. მაგრამ მთავრობა, რომელიც გამომხატველია დემოკრატიის არსებითი ინტერესებისა, ცხადია, ამ თხოვნას ვერ შეიწყნარებდა. მთავრობამ სრულიად სამართლიანათ განუცხადა დელეგაციას, რომ ბათომში და მის ოლქში ჯერ-ჯერობით საგანგებო წესები დარჩება მანამდე, სანამ ოლქში დემოკრატიული არჩევნები მოხდებოდეს.

აქ საჭიროთა და ვალდებულადაც ვრაცხ ჩემს თავს გავაცნო საზოგადოებას, თუ როგორ გაჩნდა მეჯლისი. იგი დაარსებულ იქნა 1919 წლის 1 ოქტომბერს ბათომში 31 აგვისტოს შეკრებულ ყრილობისაგან. ეს ყრილობა შესდგებოდა 18 ივლისიდან 8 აგვისტომდე ბათომის ოლქში სხვადასხვა ადგილებში გამართულ მიტინგებზე არჩეულ წარმომადგენლებისაგან. მაშასადამე მეჯლისის დასაბამი ამ მიტინგებშია. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მიტინგები ეწყობოდა მაშინდელ ანორმალურ პირობებში და არჩევნებიც დემოკრატიულის წესით არ მომხდარა. გარდა ამისა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ზემო აჭარაში უმრავლესობა, ქვემო აჭარაში უმცირესობა, ორთაბათომში უმრავლესობა და ჭოროხის ხეობაში უმცირესობა წინააღმდეგნი იყვნენ მიტინგებზე გამოთქმულ აზრებისა. მეჯლისის მოვალეობას შეადგენდა მიეწვია წარმომადგენლები ამ მხარეებიდან, საიდანაც ასეთები არ იყვნენ; მაგრამ ამ გარემოებას მან ანგარიში არ გაუწია; პირიქით, მან ისეთი მოქმედება აწარმოვა, რომ ჩამოიშორა ის დემოკრატიაც კი, რომელმაც მას არჩევნებში ხმა მისცა.

უკვე ერთ წელზე მეტია, რაც მეჯლისი არსებობს და იგი დღესაც ისევ აცხადებს, რომ ხალხი მასთან არის და მას ნდობას უცხადებს. ამ ხნის განმავლობაში მომხდარი საქართველოს საწინააღმდეგო გამოსვლები, რასაც ადგილი ჰქონდა ბათუმის ოლქის სხვა და სხვა მხარეებში (პირველათ 11 მაისს ქობულეთში, შემდეგ—ზემო-აჭარაში), არ არის მაჩვენებელი იმისა, თითქოს დემოკრატიას მტრობა ჰქონდეს საქართველოსადმი, როგორც ეს ზოგიერთებსა ჰგონიათ. ეს ნაყოფი იყო უცხო და შინაურ აგენტების და ფულით მოსყიდულ ელემენტების ბნელი მუშაობისა; ან კიდევ ეს იყო ბრძოლა ზემო წრეების, კერძოთ ფეოდალების სხვადასხვა ნაწილების შორის ჰეგემონიისათვის,—ბრძოლა „სედაია-მილლეთისა“ და „სამუსლიმანო საქართველოს“ ორგანიზაციებს შორის. ამ მხრივ, სხვათა შორის, საინტერესოა მოვიყვანოთ ზოგიერთი აზრები და შეხედულებები თვით ხალხის წარმომადგენლებისა.

ჯერ კიდევ საქართველოს ჯარები შესულნი არ იყვნენ აჭარაში, როდესაც მე დავესწარი ერთ-ერთ მიტინგს ზემო-აჭარაში. მიტინგი ფრიად მრავალრიცხოვანი იყო; მას დაესწრნენ ყველა ზემო აჭარლები და წარმომადგენლები ქვემო-აჭარიდან. მე ძლიან დამაინტერესა იმ მდაბიოთ გამოთქმულმა აზრებმა და შეხედულებებმა, რასაც ადგილი ჰქონდა მიტინგზე. ამიტომ მე ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო ზოგიერთი იქ თქმული სიტყვები:

ახმედ-ალი დავითაძე (შუა ხევის მცხოვრები)—მეზობლებო! რაც მოხდა,—მოხდა. საქართველოს ჯარი მოდის. საბოლოოთ უნდა გამოვარკვიოთ ან ომი, ან შერიგება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველანი მხარს დაუჭერთ შერიგებას.

ხალხმა აქ ერთხმათ განაცხადა: ჩვენ არც ვყოფილვართ დამნაშავენი და არც ახლა ვართ. ჩვენ არაფერი სადაო არა გვაქვს ქართველებთან. ყველაფერი ეს ბეგებისა და ალების მოქმედებაა.

შემდეგ ლაპარაკობს **მევლიეთ-ალა ბაიქუზ ოღლი** (ჯლოვანის მცხოვრები)—რადგანაც მე თურქული არ ვიცი,—ვილაპარაკებ ქართულად. მე როგორ შემიძლია დავუშვა ის, რომ ქართველებს—ჩვენს ძმებს თოფი ვესროლო. როდესაც რუსეთის მთავრობა დასაჭერათ დამდევდა,—მე მაშინ ოსმალეთში არ გავქცეულვარ: მე რა ვიცი, რა არის ოსმალეთი და რანი არიან თურქები. მე გავიქეცი ჩემს ძმებთან—ქართველებთან და ვაკის ჯვარში ორი წელიწადი დავყავი და მივიღე ქართველების პურ-მარილი. მე, მართალია, თოფი ვესროლე ქართველებს; მაგრამ ნამდვილათ მე თოფი ვესროლე იმ პირებს, რომლებსაც უნდოდათ ჩვენზე გაბატონება.

ჩვენ ძმურათ შევერთდებით ქართველებთან, ჩვენ მოვსპობთ ჩვენს ფრონტს და ქართველ ჯარს დაფა-ზურნით შევიყვანთ აჭარაში; მაგრამ თუ მთავრობა დემოკრატიული არის,—მან ჩვენთან—ხალხთან უნდა აწარმოოს მოლაპარაკება.

ეს სიტყვები მთელმა მიტინგმა მხურვალე ტაშით დაჰფარა.

მთელი ამბების გათვალისწინების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეჯლისს ივლისის შემდეგ მაინც ხელი არ უნდა შეეშალა დემოკრატიულ არჩევნებისათვის, რომ შექმნილიყო ერთი ორგანო ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებისაგან და მთავრობას შესაძლებლობა ჰქონებოდა კავშირი დაეჭირა თვით ხალხთან. მაგრამ მას არ უნდა ალაგი დაეთმოს იმ ერთ ორგანოს. მას ჰსურს ავტონომიის საქმე თვითონ მოაწყოს.

ამრიგად, ჩვენის აზრით, მეჯლისი არის არა მარტო ზედმეტი ორგანო ბათომისა და მისი ოლქის შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი პირდაპირ შემაფერხებელი ფაქტორია მუსულმან დემოკრატიის კეთილდღეობისათვის.

თ. ჰაინ ხიმშიაშვილი *)

---

*) ამ კითხვების შესახებ რედაქციას არა ერთი შემთხვევა ექნება გამოსთქვას თავისი აზრი. რედ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 22.

ლონდონის ცნობები

საბერძნეთის გარშემო.

საფრანგეთის გაზეთები ადასტურებენ იმ ცნობას, რომ ლონდონისა და პარიზის კაბინეტები პრინციპიალურად ერთისა და იმავე შეხედულებისა არიან კონსტანტინეს საბერძნეთის ტახტზე ასვლის შესახებ. ამ მიზნით პარიზისა და ლონდონის კაბინეტებს შორის მოლაპარაკება სწარმოებს: მათ სურთ გამოარკვიონ ამ საკითხის შესახებ ერთგვარი შეხედულება და სათანადო ნაბიჯები გადასდგან, მეორე მხრივ იუწყებიან, რომ ჟორჟ ლეიგი და ლოიდ ჯორჯი ერთმანეთს შეხვდებიან, რომ საბოლოოთ გამოარკვიონ ორივე მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ეს შეხვედრა ალბათ ლონდონში მოხდება.

პლებისციტი საბერძნეთში.

ათენიდან იუწყებიან: კაბინეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად პლებისციტი მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნების საკითხის გამოსარკვევად ნოემბრის 28 შესდგება. კონსტანტინემ დეპეშით აუწყა მთავრობას, რომ იგი უცდის პლებისციტის შედეგებს, შემდეგაც იგი საბერძნეთში დაბრუნდება.

ავსტრიის კაბინეტი.

ვენიდან იუწყებიან: ეროვნულმა საბჭომ 94 ხმით (ქრისტიან სოციალისტებისა და პან-გერმანისტების) 54 წინააღმდეგ (სოციალისტების) მოიწონა ახალი კაბინეტის შემადგენლობა. დრ მაიერი—საგარეო საქმეთა მინისტრი და მინისტრთა უმეტესობა ქრისტიან-სოციალისტთა პარტიას ეკუთვნის.

ჟელიგოვსკი და ლიტვა.

ლონდონიდან მოსულ ცნობით გენ. ჟელიგოვსკის შეტევა დაუწყია ლიტველების წინააღმდეგ. გაურღვევია მათი ფრონტი და წინ წაუწევია რამდენიმე კილომეტრით. იგი უკან დახეულ მტერს სდევნის.

პოლონეთ-რუსეთის მოლაპარაკება.

რიგიდან მოსულ ცნობით დროებით შეუწყვეტიათ პოლონეთ-რუსეთის მოლაპარაკება. შაბათს იოფემ პოლონეთის დელეგაციას გადასცა ნოტა, სადაც ნათქვამია: რადგანაც პოლონეთმა არ შეასრულა ნოემბრის 14-ოქმის დამატებითი მუხლი პოლონეთის ჯარების საზღვრებამდე უკან დახევის შესახებ, ამიტომ მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნება ამ პირობის შესრულებამდე.

გერმანული ცნობები

გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ ახალი ნოტით მიმართა ერთა ლიგას: ამ ნოტაში იგი აცხადებს, რომ ეიპენისა და მალმედის საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს ერთა ლიგის საერთო ყრილობას და არა მის საბჭოსა.

გერმანიის მთავრობამ იტალიას, საფრანგეთს, ბელგიისა და იაპონიის პროტესტი განუცხადა, რაერნ კალტენსირბერგის რკინის გზის ბელგიისადმი გადაცემის გამო, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას.

შიმშილობის ნიადაგზე.

პრუსიის ერთ-ერთი მინისტრის განცხადებით 1915 წლიდან გერმანიაში საჭმელის სიმცირის ნიადაგზე მეტად გადიდებულა სიკვდილის რიცხვი. კვდებოდენ უმთავრესად ჰლექითა და სხვა ავადმყოფობით. 1918 წელში 750,000-ზე მეტი კაცი დაიღუპა. მინისტრი აღნიშნავს, რომ გერმანელთა უდიდესი ნაწილი ამ ჟამადაც მეტად ცუდათ საზრდოობს, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც გერმანიას ჩამოაშორეს მდიდარი პროვინცია პოზენი. მინისტრი გამოსთქვამს შიშს, რომ გერმანიას საშინელი უბედურება მოელის, მაშინ, თუ საფრანგეთმა კვლავ განაგრძო მრეწველი პირობების მოთხოვნა.

გერმანია და ერთა ლიგა.

გერმანიის მთავრობამ ერთა ლიგას მიმართა ნოტით, სადაც აცხადებს, რომ იგი თავის თავს ვალდებულად არა სთვლის შეასრულოს ვერსალის ხელშეკრულობის ის ნაწილი, რომელიც გერმანიის მიერ მის ახალშენებზე უარის განცხადებას ეხება, რადგანაც მოკავშირეებმა არ შეასრულეს თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი ახალშენთა განაწილების შესახებ და რადგანაც გერმანია გამორიცხულია ერთა ლიგიდან.

ქვა-ნახშირის მაღაროების სოციალიზაციის გარშემო.

რეიხსტაგში მსჯელობა ქონდათ სოციალ-დემოკრატ ლეფლერის მიერ შემოტანილ შეკითხვის—ქვა ნახშირის მაღაროების სოციალიზაციის შესახებ.

ფრანგული ცნობები

ბელგიის კაბინეტი.

კარტონ დე ვიარტმა ბელგიაში შეადგინა სამინისტრო შემდეგი შემადგენლობით: საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი—კარტონ დე-ვიარტი, იუსტიციის მინისტრი—ვანდერველდე, საგარეო საქმეთა—ჟასპარი, ფინანსთა—კიენი.

ყირიმიდან დაბრუნებულნი.

ვრანგელთან დანიშნულნი: დე მარტელი, ამირბარი, დიმიხნილი, გენ. გრუშა, და აგრეთვე საფრანგეთის სამხედრო და სამოქალაქო მისიის წევრები ნოემბრის 18 გემ „ვალდეკ რუსოთი“ სტამბოლში დაბრუნდენ. გენ. ვრანგელს ელიან ნოემბრის 19—20. ნოემბრის 18 სტამბოლში იყო 105,000 ლტოლვილი, აქედან სამხედრო 80,000 და მშვიდობიანი მცხოვრებნი 25,000.

ერთა ლიგაში.

ბალფური მივიდა ჟენევას, იგი მონაწილეობას მიიღებს ერთა ლიგის სხდომაში. ლეონ ბურჟუა ავადმყოფობის გამო უკვე 2 დღეა, რაც მონაწილეობას აღარ იღებს ლიგის მუშაობაში. მისი ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდება და მას იმედი აქვს, რომ იგი მომავალ ორშაბათს ლიგის სხდომაზე მონაწილეობას მიიღებს.

სხდომის დასაწყისს შაბათს ერთა ლიგაში ბელგიის დელეგატმა ლა ფონტენმა ყურადღება მიაქცია ყრილობის ორ მუხლს, რომელიც მას დიდ მნიშვნელოვნათ მიაჩნია: ეკონომიურ და შეიარაღების საკითხებს. ეკონომიური საკითხი ლა-ფონტენს საშუალებას აძლევს განიხილოს ნედლი მასალის განაწილების საკითხი; მისი აზრით ნედლი მასალა უნდა ჰქონდეს ყველა ძალას განურჩევლათ მისი მდგომარეობისა. ორატორს სურს, რომ ხვალიდანვე ყველა ჯარი იყოს ერთი საერთაშორისო ძალის ნაწილი და ეს ჯარები ერთა ლიგის განკარგულებაში იმყოფებოდეს. ეს რომ აქამდის ასე ყოფილიყო, სომხეთი გადარჩენილი იქნებოდა.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. 20 ნოემბ. მოზირის რაიონში ჩვენი ჯარი პრიპეტზე გადავიდა. მოზირს იქით რეჩიცის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაიწყო შეტევა და მტერს ავიწროვებს. 10—18 ნოემბ. წამოვიყვანეთ ტყვეთ ბალახოვიჩის 1400 ჯარის კაცი, 40 ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 32 ტყვიისმფრქვეველი 2 ზარბაზანი და მრავალი თოფი. კოროსტენ-მოზირის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. კამენეც პოდოლის რაიონში ჩვენმა ჯარმა ნეიტრალურ ზონის საზღვარზე მდ. ჟვანჩიკს მიაღწია. ყირიმში სიწყნარეა. ტყვეთა რეგისტრაცია გრძელდება.

ინგლისი და რუსეთი.

ინგლისის მინისტრთა შორის რუსეთთან ვაჭრობის აღდგენის საკითხის შესახებ შეთანხმება ჯერაც არ მომხდარა. მინისტრები, რომლებიც წინააღმდეგნი არიან რუსეთთან შეთანხმებისა, მთავარ ყურადღებას აქცევენ რუსეთის ვალებს, რომელიც ნიკოლოზს აუღია. კრასინმა ლონდონში განაცხადა, რომ მას არა აქვს რწმუნებულება დაჰპირდეს უცხოელ კაპიტალისტებს ვალის გადახდას.

სომხეთისა და ოსმალეთის ომი

ყარსში შესვლის შემდეგ ოსმალეთის ჯარის სარდალმა მოწოდება გამოუშვა, რომელშიც ნათქვამია, რომ სომხეთის ყოველივე უბედურებაში დამნაშავეა დაშნაკელთა საგლახმეტელების პარტია, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტთა ბრძანებას ასრულებს. ოსმალეთის ახალი მთავრობა ყველა მცხოვრების ინტერესებს დაიცავსო.

პრავდის იმედი

მოსკოვი 21 ნოემბ. „პრავდას“ მოწინავე წერილს: ჩვენს ცხოვრებაში დადგა ახალი ხანა. ცოტა ხნის წინათ ბრიტანეთის მთავრობას ვრანგელისა და პოლონეთის ჯარის გამარჯვების იმედით არც სურდა ჩვენთან ლაპარაკი ზავისა და სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ეხლა მას იმედი გაუცრუვდა. გუშინდელმა რადიომ ცნობა მოიტანა, რომ ბრიტანეთის მთავრობა ახლო მომავალში რუსეთთან აღადგენს სავაჭრო დამოკიდებულებას.

შეთანხმების გარშემო.

ინგლისსა და რუსეთ შორის სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის გამო მთავრობის წრეებში დიდი მღელვარებაა. „დეილი ნიუსის“ სიტყვით მინისტრთა უმეტესობა შეთანხმების მომხრეა. ყველაზე მეტი დაბრკოლებები ხვდებათ ვალების გადახდის საკითხში. კერზონის წრის გავლენით კაბინეტმა გადასწყვიტა მოითხოვოს მოსკოვისაგან გარანტია, რომ მან მომავალში ინგლისსა და მახლობელ აღმოსავლეთში არ აწარმოოს ბოლშევიკური პროპაგანდა. და იცნოს მეფის ვალი. ყველაფერი ეს გაზეთის აზრით მოლაპარაკების ჩაფუშვას ნიშნავს. გაზეთების ცნობით კრასინსა და რუსეთის დელეგაციის სხვა წევრებს არაფერი ექნებათ საწინააღმდეგო, რომ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერონ. საერთოდ ხელშეკრულება პოლონეთის ხელშეკრულების დაგვარია, მაგრამ აქ მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს გარანტიას.

ინგლისი და სპარსეთი

კერზონმა პარლამენტში განაცხადა: ინგლისს გულწრფელათ სურს სპარსეთისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, სურს დაეხმაროს სპარსეთს, რომ მან შეადგინოს თავდასაცავათ ჯარი. ინგლის-სპარსეთის მთავრობას 4 თვის ვადა მისცა პარლამენტის მოსაწვევათ. პარლამენტმა ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოახდინოს. იმ შემთხვევაში, თუ რატიფიკაცია მოხდა, ამას აუწყებენ ერთა ლიგას, თუ არა, მაშინ ინგლისის ჯარი სპარსეთის ევაკუაციას მოახდენს.

ოსმალთა შეტევა.

ოსმალები განაგრძობენ ყველა მიმართულებით შეტევას. გუმბრ-ერივანის რკ. გზა ქემალისტებმა ისევ დაიბრუნეს. ოსმალების მიერ დაჭერილ ადგილებში ცარცვა-ჟლეტა არ ყოფილა. კიაზიმ ფაშამ მოწოდება გამოუშვა, სადაც ნათქვამია, რომ ოსმალთა ახალი მთავრობა დაიცავს ქრისტიან და მუსულმან მცხოვრებთა ინტერესებს. სომხები ანტანტის მიმართ ცუდათ არიან განწყობილნი.

საბერძნეთში.

გამარჯვების უზრუნველყოფის მიზნით საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მოახდენს ჯარის დემობილიზაციას. უკანასკნელი ცნობით ვენიზელოსის მომხრეებმა 118 ადგილი მიიღო პარლამენტში ოპოზიციამ კი 250 ვენიზელოსის დამარცხება ევროპის დიპლომატიისთვის მოულოდნელი იყო.

სამხედრო ცნობა.

20 ნოემბერს ჩვენ ავიღეთ მოზირი. მტრის კონტრ იერიშებს ვიგერიებთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. რეჩიცას სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. კოროსტენ-მოზირის მიმართულებით შეტევა გრძელდება. ქ. ლეტიჩევი პოლონეთის ჯარმა დასტოვა და იგი პირობის თანახმად ჩვენ დავიკავეთ. ვოლოჩინსკის რაიონში ჩვენი ჯარი განაგრძობს პეტლიურას ჯარის ნაწილების შევიწროვებას ქერჩის ნავთსადგურში ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის 34 გემი. აქედან 4 ორთქლმავალი და 12 ახალი საბუქსირო გემი.

იტალიის მისიის ცნობა

რომი. 19 ნოემბ. იტალიის პარლამენტმა 240 ხმით 10 წინააღმდეგ მიიღო ქალთა უფლებრივ გათანასწორების კანონი.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ნოემბრის 22.

პროსტიტუციის წინააღმდეგ.

მოსკოვი. „იზვესტია“ იუწყება: ჩვენ გულახდილათ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენში პროსტიტუცია ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, როდესაც მასთან ბრძოლა მეტად საჭიროა და თანადროულია. ამ მიზნით მიღებულია მთელი რიგი ზომებისა, მაგალითად: 1) უპატრონოთ დარჩენილ ღარიბ ახალგაზრდა ქალთა დასახმარებლად ეწყობა კომუნალური სახლები, 2) თვალყურს ადევნებენ უპატრონოთ და უზედამხედველოთ დარჩენილ ბავშვებს, 3) ახალგაზრდობას ლექციების საშუალებით ასწავლიან ზნეობრივ საკითხებს, რომლებიც ოჯახობასა და ცოლქმრობას შეეხება. „იზვესტიას“ ცნობით თვით მშრომელი ქალებიც კი პროსტიტუციას ჰკიდებენ ხელს იმ მიზნით, რომ თავისი რეალური ხელფასი გაადიდონ.

სასურსათო ფრონტის მდგომარეობა.

მოსკოვი. „იზვესტია“ აღნიშნავს რუსეთის სასურსათო ფრონტის მეტად არა სანუგეშო მდგომარეობას. ცუდად მიმდინარეობს პურის შეკრების საქმე. ციმბირში თანდათან ძლიერდება „კულაკების“ ოპოზიცია და საბჭოთა აპარატები კარგათ ვერ არის მოწყობილი.

ლოიდ ჯორჯის წერილი მუშებს.

ლონდონი. ლოიდ ჯორჯმა ინგლისის მუშებს მიმართა წერილით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მემაღაროეთა გაფიცვებმა მეტად მძიმე გავლენა მოახდინა მთელი ევროპის ინტერესებზე, რადგანაც ევროპის ეს ინტერესები დამოკიდებულია დიდი ბრიტანეთის მიერ მადნეული სათბობი მასალის შოვნაზე. ამიტომ მეტად ძნელია იმ ზარალისა და დაბრკოლებათა დაძლევა, რომელიც ინგლისის მუშებმა თავისი გაფიცვით მიაყენეს ევროპასო.

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი

ლონდონი. ლორდმა კერზონმა საბჭოთა რუსეთს მიმართა ახალი ნოტით, რომელიც შეეხება მის მიერ კრასინისაგან მიღებულ ცნობებს. სხვათა შორის აღნიშნავს ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაციას, რომელსაც ეწევა საბჭოთა რუსეთში მთავრობა თვით რუსეთსა და აღმოსავლეთში განსაკუთრებით ანატოლიაში. ლორდ კერზონი წინადადებას აძლევს საბჭოთა რუსეთს დაამტკიცოს საქმითა და არა მარტო სიტყვით თავისი მისწრაფება მშვიდობიანობის დამყარებისაკენ.

ერთა ლიგა განიარაღების შესახებ.

პარიზი. ერთა ლიგის სხდომაზე ლეონ ბურჟუამ მოხსენება გააკეთა განიარაღების კომისიის მუშაობის შესახებ. სხვათა შორის წაიკითხეს პროექტი, რომელიც ომის დროის კრძალავს შხამიან გაზთა ხმარებას. პროექტი წინადადებას იძლევა დაუყონებლივ გამორიცხონ ლიგიდან იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელნიც ამ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას არ დაემორჩილებიან. ერთა ლიგამ ერთხმად მიიღო ეს პროექტი. დაადგინეს აგრეთვე კონტროლის დამყარება ფრენოსნობაზე. დასასრულ გადასწყვიტეს, რომ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ახლად შედიან ერთა ლიგაში, მოსთხოვონ დაწვრილებითი ცნობები თავის ქვეყნის შეიარაღების შესახებ.

გაფიცვა ვარშავაში

ბერლინი. პრესა იუწყება ვარშავაში რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ. სურსათ-სანოვაგის შემოუტანლობა ძლიერ გავლენას მოახდენს მცხოვრებლებზე. რკინისგზელებმა ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი წამოაყენეს.

ზინოვიევის განცხადება

„ფორვერტსი“ იუწყება: ზინოვიევმა თავის გამოსვლების დროს სტოკჰოლმში განაცხადა, რომ იგი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს სავაჭრო დამოკიდებულების დამყარებას საბჭოთა რუსეთთან, რომელსაც ფაქტიურად შეუძლიან ევროპაში შეიტანოს მხოლოდ ერთი საქონელი—ბოლშევიკური პროპაგანდა.

ჯარის შენახვა

ბერლინი. გაზეთები იუწყებიან: საფრანგეთის ჯარის შესანახად 1921 წელს ნავარაუდევია 8 მილიარდი და 690 მილ. ფრანკი.

სალამი დამფუძ. კრებას

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ჩაქვიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „მუხუს ტატეშის კინტრიშის თემის საზოგადო ყრილობამ ნოემბრის 18 მოისმინა რა მოხსენებები დამფუძნებელ კრების წევრების: ისიდორე რამიშვილის და ჰაიდარ აბაშიძისა საქართველოს დღევანდელი საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, ყრილობა გამოსთქვამს თავის კმაყოფილებას იმის გამო, რომ ყოველი მოქმედება და ნაბიჯები დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის ყოველმხრივ მიმართული რესპუბლიკის მდგომარეობის განამტკიცებლად და თავისუფლების დასაცავათ. ჩვენ ჩვენის მხრით უერთებთ ჩვენ სურვილებს და ძალღონეს საქართველოს დემოკრატიის და მასთან ერთად ვიქნებით ჭირსა და ლხინში განუყრელად და აღვუთქვამთ დაემორჩილებთ ყოველ საერთო საქმეებში რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას. ამის გარდა ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ოლქში ახლო მომავალში დამყარდება ხალხის თვითმმართველობა ავტონომიურ ნიადაგზე, ყრილობის თავმჯდომარე ჰაიდარ აბაშიძე.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლეში შესდგება საქართველოს პროფ. კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

◆ **ალ. ლომთათიძის ავადმყოფობა.** დღეს მეთერთმეტე დღეა, [illegible] ავად არის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. მის მოვალეობას ასრულებს ს. მდივანი.

◆ **მბეჭდავთა კავშირის გამგეობის არჩევა.** მბეჭდავთა კავშირის გამგეობის არჩევნებში 21 ნოემბერს სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 262 ხმა, კომუნისტების შეერთებულმა სიამ 261 ხმა. ამრიგად სოციალ დემოკრატებმა გაიყვანეს გამგეობაში 8 კანდიდატი, კომუნისტურმა ბლოკმა 7.

◆ **ოპერა „დალატი“ გვარდიელებისათვის.** სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელი განყოფილების ინიციატივით ორშაბათს, 24 ნოემბერს დილის 12 საათზე გვარდიელებისათვის სახელმწიფო ოპერის თეატრში ოპერა „დალატი“ დაიდგმის.

◆ **ერობათა კავშირმა დაადგინა** მოიწვიოს სასწრაფოდ საერობო მოღვაწეთა ყრილობა, რომელმაც საბოლოოდ უნდა განიხილოს პროექტი კანონისა ერობის თვითმართველობის შესახებ.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით** იმ სტუდენტებს, რომელნიც 25 ნოემბრამდე არ წარადგენენ უნივერსიტეტის კანცელარიაში მატრიკულებს, მიმდინარე სემესტრი არ ჩაეთვლებათ.

◆ **რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტმა** გადასწყვიტა ებრძოლოს ეგრეთ წოდებულ „მკვდარ სულებს“. გადაწყდა შემოწმონ სასურსათო და პურის ბარათები ბინების ჩამოვლით. აღმოჩენილი ბოროტმოქმედება იუწყება გზების უფროსს და მუშათა მაგიდას.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ დაამუშავა** მთავრობაში წარსადგენათ კანონების გადამსინჯავ კომისიის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი კონტრაბანდისათვის ჯარიმის და სასჯელის დაწესების შესახებ. პროექტში სასჯელის შემდეგი სახეებია გათვალისწინებული: კონტრაბანდით შემოტანილ ან გატანილ საქონლის ჩამორთმევა, ჯარიმა 300,000 მანეთამდე, დატუსაღება 2 წლამდე და გამასწორებელი სახლი. პროექტში გათვალისწინებული არის აგრეთვე საქონლის გადასატან საშუალებათა ჩამორთმევა.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი.** რაიონის წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ თანახმად კოლექტივის 18 ნოემბრის მორიგ სხდომის დადგენილებისა, ყველა ის პირი ვინც 10 დეკემბრამდე არ განახლებს პარტიის წევრობას, მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის შეტანით—10 დეკემბრიდან გამორიცხულ იქნებიან პარტიიდან და მათი სახელი და გვარი გამოცხადებულ იქნება პარტიულ ორგანოებში.

◆ **სტიპენდია.** თფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ ქალაქის და ქალაქთა კავშირის მუშა-მოსამსახურეთ, რომლებიც განიცდიან ქონებრივ სივიწროვეს, მიეცემათ ოჯახის უახლოეს წევრთათვის (შვილები და ძმები) სტიპენდია, რომელიც უდრის სწავლის 1920—21 წ. გადასახადის ყოველ მოსწავლეზე. სტიპენდიის მოთხოვნილებს ევალებათ განცადებას თან დაურთონ დაწვრილებითი სწორი ცნობები მათი ოჯახური და მატერიალური მდგომარეობის შესახებ ადგილობრივ კომიტეტების დასკვნით. უკანასკნელი ვადა განცხადებების შემოტანისა არის პარასკევი 26 ნოემბერი.

მასწავლებელთა შორის ოთხშაბათს ნოემბრის 24 საღ. 6 ს. ქალთა 1 გიმნაზიაში დანიშნულია თფილისის ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა კრების გაგრძელება. დღის წესრიგი: 1) მასწავლებელთა კოოპერატივ უნივერსალის გამგეობის არჩევნები 2) თფილისის მასწავლებელთა კავშირის გამგეობის არჩევა 3) მასწავლებელთა სურსათით დამხმარე და დამზღვევ კასის დაარსება. თფილისში მცხოვრები ყველა მასწავლებელი ვალდებულია დაესწროს კრებას.

◆ **საბურთალოს მუშათა კლუბის** გამგეობა ამით აცხადებს საბურთალოზე მცხოვრებ ახალგაზრდათა საყურადღებოდ, რომ ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საბურთალოს მუშათა კლუბის სცენაზე მუშაობაში უნდა მიმართოს ჩასაწერად კლუბის სამკითხველოს გამგეს ქ-ნ ნინო კუბლაშვილს საღამოს 4—9 საათამდე კლუბში ან და მე-13 ტე უბნის სამმართველოში ბ-ნ ანდრო პარკაძეს და ვალო ჩიქოვანს დილის 9—3 საათამდე.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში.** დღეს, 23 ნოემბერს საღამოს ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია შეერთებული სხდომა ცენტრალურ კომიტეტისა, საკონტროლო კომისიის და ყველა რაიონულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისა. გასარჩევია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

კრებები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, მეორე რაიონის ბინაზე დანიშნულია ამავე რაიონის ქალთა კოლექტივის და ს. დ. ქალთა კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ზემო-ვოში. რკინის გზის სადგურს უკან 1920 წ. ნოემბრის 1-დან დაარსებულია ყოველ-კვირობით ჩვეულებრივი ბაზრობა.

ფინანსთა სამინისტროში

ფინანსთა სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა განსახილველად პროექტი კანონისა საქალაქო შემოსავლის წესდების შეცვლის შესახებ. პროექტში აღნიშნულია, რომ მძიმე ფინანსიური პირობები, რომელშიაც იმყოფება საქალა-

ქო და საერობო თვითმართველობანი, ვეიკარნახებენ დაიჩქარონ მათი საბიუჯეტო უფლებების რეგლამენტაცია, რომ მიეცეთ მათ ფართო საშუალება გამოიყენონ რაციონალურად მათ განკარგულებაში მყოფი მატერიალური რესურსები, რათა მათი შემოსავალი იქნეს აყვანილი იმ ნორმამდე, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ხარჯების უდეფიციტო დასაფარავად.

პროექტი აღნიშნავს, რომ ამ ჟამად შეუძლებელია სახელმწიფო და ადგილობრივი მეურნეობათა სფეროების სავსებით განსაზღვრა. ქალაქთა და ერობათა საბიუჯეტო უფლებათა გაფართოვების უფრო მიზან შეწონილ ფორმად არსებულ გარდამავალ ხანაში ჩაითვლება ადგილობრივ თვითმართველობათათვის მონაწილეობის უფლების მინიჭება მუშაობაში და სახელმწიფო რეალურ გადასახადების აკრეფისაგან დაგროვილ შემოსავალში, და აგრეთვე ამ თვითმართველობათა ხარჯთ ამკრებ ინსპექციასთან თანამშრომლობაში თანდათანობით ჩაბმა. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადების ასეთი უნიფიკაცია ბევრად გაამარტივებდა ტეხნიკურ სამუშაოს შეამცირებდა შრომას და გასავალს, და გადამხდელს საშუალებას მისცემდა ქონოდა საქმე მხოლოდ ერთ გადასახადის ფურცელთან. ეს დასაწყისი რეალურ გადასახადთა უნიფიკაცია უდევს საფუძვლად აღნიშნულ კანონ პროექტს. ამასთანავე იგი ადგილობრივ თვითმართველობას სრულ უფლებას უტოვებს ადგილობრივ იმ გადასახადების მოპყრობაში მიმართ, რომელსაც სახელმწიფო გადასახადთან არავითარი კავშირი არა აქვს. კანონ-პროექტი ქალაქთა საბიუჯეტო უფლების გარკვევას ეხება მხოლოდ. ერობათა საბიუჯეტო უფლების პროექტი კი დამატებით იქნება წარდგენილი. პროექტს საფუძვლათ საქალაქო შემოსავალთა მომქმედი წესდება უდევს. ეს წესდება გადაათვალიერა ქალაქთა და ერობათა კავშირმა. ახალი პროექტის მთავარი განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ ქალაქები ახალი პროექტის ძალით სახელმწიფო საწარმოო გადასახადების შემოსავალში იღებს მონაწილეობას. მონაწილეობის პროცენტი ისაზღვრება პერიოდულათ და მისი შეცვლა სახელმწიფოსა და ქალაქთა საბიუჯეტო საჭიროების და მიხედვით შეიძლება. ყოველ შემთხვევაში ქალაქები იძენენ ნამდვილ შემოსავლის წყაროს, ვინაიდან საერთოთ, სახელმწიფო საწარმოო გადასახადიდან შემოსული თანხა 1920 წ. 500 მ ლ. მ. უდრის. სრულიად ახალი და ქალაქის წმინდა გადასახადათ უნდა ჩაითვალოს ბინაზე ან ცალკე გასაქირავებელ ოთახებზე დადებული გადასახადი. საერთოდ პროექტი შეიცავს რიგ დებულებას, რომელიც აწესრიგებს და აუმჯობესებს ბევრად საქმის მდგომარეობას და იძლევა საშუალებას ქალაქის ფინანსიურ ახალ ფორმის მეურნეობაზე უმტკივნეულოდ გადასვლის. მთავრობამ განსახილველად განმარტებითი ბარათის გარდა წარუდგინა აგრეთვე თვით პროექტი საქალაქო შემოსავლის წესდების. პროექტი 77 მუხლისაგან შესდგება. (სდს)

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

პროლეტარული რევოლუცია და სანოვაგე. პროლეტარულ რევოლიუციის სამი წლის თავის აღსანიშნავად გაზეთ „პრავდას" ცნობით მოსკოვის მცხოვრებთ ოქტომბრის ნორმის ანგარიშში მიეცემათ ზედმეტი სანოვაგე. გაზეთში ჩამოთვლილია რომელ კატეგორიას რამდენი მიეცემა.

სურსათის მომარაგება რიაზანის გუბერნიაში. რიაზანში 5 ოქტომბრიდან დაარსდა ეგრედ წოდებული „ტროიკა", რომელსაც ევალება მიაწოდოს მცხოვრებთ ქართოფილი. ქართოფილის დასატვირთავად შემოღებულია ბეგარა. „უფენკომების" მიერ დაარსდება სამი კვირის განმავლობაში რაზმები, რომელთაც დაეკისრება ქართოფილის დაგროვება.

ბრძოლა „კულაკებთან". ვიტებსკში, რადგანაც დროზე არ იქნა შესრულებული ქართოფილის „ნარიადი", სასურსათო სათათბირომ დააჯარიმა ოსტრონსკის „ვოლოსტი" 2000 ფუთი ქართოფილით. გაგზავნილ არიან წარმომადგენლები, რომლებიც გაანაწილებენ, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს.

შინელების და პალტოების ჩამორთმევა. მოსკოვის მცხოვრებთ, რომელნიც სამხედრო სამსახურში არ იმყოფებიან, ეკრძალებათ შინელების და პალტოების ტარება, რაც მათ ჩამოერთმევათ მოსკოვის საბჭოს რწმუნებულის ბრძანების თანახმად.

აჯანყების მოლოდინში. 26 ოქტომბერს მოსკოვის დაცვის საბჭოს პლენუმის სხდომაზე ხსენებულ საბჭოს მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დზერჟინსკიმ. ის ეხებოდა სხდომაზე იმ დეპეშებს, რომელიც გაგზავნილ იქნა ლონდონიდან რიგაში საბჭოთა რუსეთში მუშათა აჯანყების შესახებ და რომელიც ხელში ჩაუვარდა მოსკოვის დაცვის საბჭოს. მომხსენებელი ადარებს ამ ცნობას გასულ წელში საზღვარგარეთულ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს რუსეთში მომხდარ აჯანყებებზე და ამბობს, რომ ეს ცნობები წინ უძღოდა იმ შეთქმულებს, რომელიც აღმოჩენილ იქნა მოსკოვსა და პეტროგრადში. ის აღნიშნავს აგრეთვე იმ დახმარებებს, რომელსაც უცხოეთიდან უგზავნიან დენიკინს და რუსეთის სხვა კონტრ-რევოლუციონერებს. ისინი, რომელნიც ამ ამბებს აწყობენ უცხოეთის პრესაში, ყოველგვარ ღონეს ხმარობენ რომ გავრცელებული ამბები გამართლდეს და არ ზოგავენ საშუალებებს. მოხსენების შემდეგ წარმოდგენილ იქნა რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია ანტანტის ჯარების წინააღმდეგ თვალყურის გდების გაძლიერების საჭიროება. მოსკოვსა და მის გუბერნიის დაცვის საბჭო: მოუწოდებს ყველა სინიდისიერ მოქალაქეებს აქტიური დახმარება აღმოუჩინონ კომიტეტს საზღვარ გარეთულ შპიონაჟის წინააღმდეგ ბრძოლაში და ავალებს ორგანიზაციებს ჩქარი და ინტენსიური მუშაობა აწარმოონ ზურგის გასამაგრებლათ. რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად. მენშევიკებმა თავი შეიკავეს („იზვესტია" № 240).

კალმიკებისა და ყირგიზების მობილიზაცია სამრეწველოებში სამუშაოთ. „ნარკომპროდის" კოლლეგიის 18 ოქტომბრის სხდომაზე კოლლეგიის წევრმა ა. ი. პოტიაევმა მოხსენება გააკეთა ვოლგა-კასპიის რაიონში თავის მოგზაურობის შესახებ. კოლლეგიამ საჭიროთ სცნო გამოსცეს ბრძანება ყირგიზების და კალმიკების შრომის მობილიზაცია კასპიის რაიონში თევზის მრეწველობის საწარმოვოთ. კოლლეგიამ მიანდო პოტიაევს მოლაპარაკება გამართოს შრომის კომისართან ამ მობილიზაციის გატარების საშუალების შესახებ, ნარკომპროდის მხრივ დახმარების შესაძლებლობაზე და თევზის სამრეწველოს კვალიფიკაციურ მუშათა ძალით უზრუნველყოფაზე. ამის გარდა პოტიაევსა და ა. ვ. ხალატოვს მიენდო დაჩქარებით შეიმუშაონ ზომები ასტრახანსა და პეტროვის რაიონებიდან თევზის გამოტანის შესახებ.

ბოროტი სპეკულიაცია. „პრავდაში" მოთავსებულია პატარა შენიშვნა ვინმე მუშა ქალისა. ის აღნიშნავს იმ სპეკულიაციას, რომელსაც ეწევიან სხვა და სხვა მოხელეები მათ მიერ მიღებული ნივთებით. ის სწერს: „ნარბანკის ყოფილ საოლქო კონტორის მოსამსახურეებმა, მიიღეს ამ დღეებში თბილი ნივთები. მეტად უხეშია გარეგნულად მამაკაცის წინდები, ასეთივეა „ვარეშკები". კითხვა იბადება: რისთვის სჭირიათ ეს საგნები „საბჭოთა ბარიშნებს", ან და საერთოდ საბჭოთა მოსამსახურეებს? უმრავლესობა იმათგანი ხომ არ ატარებენ ამ ნივთებს, მაგრამ რა უნდა ჰქნა, თუ გაძლევენ, უარს ხომ არ ეტყვი? და ბანკის მოსამსახურეები (დებენ თბილ საგნებს, ჰყიდიან იათ გადამყიდველებზე, ისინი კი თავის მხრივ—სუხარევკაზე"...

წერილი ასე თავდება: „ნუ თუ „ბანკელებო" თქვენ არა გაქვთ რევოლიუციონური ვაჟკაცობის ნატამალიც კი, თუ თქვენში არ არის ფრონტისადმი თანაგრძნობა?" („პრავდა" № 238).

მართალია თუ არა? ამ სათაურით „პრავდაში" ს. კმალი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ თუმცა ოქტომბრის რევოლიუციამ გაანადგურა ძველი სკოლა და მისი უვარგისი ფორმა—დახურული სასწავლებლები, მაგრამ მიუხედავათ ამისა არსებობს ერთი დახურული (და განა მარტო ერთი?) სასწავლებელი? ის სწერს: „აი რა მიამბეს მე ამ სკოლაზე. ჩაცმა-დახურვის და ჭამა-სმის საქმე კარგათაა. მეცადინეობენ 10—1 საათამდე. მეცადინეობის შემდეგ მოწაფეებს (სწავლობენ 14—16 წლის მოზარდები) არსად არ უშვებენ მიმართვა მოწაფეებისა და მასწავლებლების ერთმანეთთასადმი არის „ბატონო". სიტყვა ამხანაგს ვერ ურიგდებიან. ბავშვების უმრავლესობა ყოფილ პოლკოვნიკების, ოფიცრების, თავად-აზნაურების, ბურჟუების და სხ. შვილებია... ბავშვები სადილსა და ვახშმის შემდეგ პირჯვარს იწერენ. კომუნისტებს ძლიერ ლანძღავენ. მუშა პატარა ბავშვს, იმის გამო, რომ ის ახალგაზრდათა კავშირის წევრია—არ სურთ ლაპარაკი, დასცინიან მას, ლანძღავენ, ეუბნებიან ვრანგელის მალე მოსვლის შესახებ და სხვა. როდესაც ბავშვმა სცადა დაცინვის გამო მიემართა მასწავლებლებისათვის, მან ასე მიჰმართა მოწაფეებს: არ ვარგა რომ ასე ექცევით კომუნისტს; ყველას შეუძლია თავისებურად აზროვნება—ზოგს რევოლიუციონურად, ზოგს სხვა ნაირათ... პოლიტიკურ ანბანს და საბჭოთა კონსტიტუციას—არ ასწავლიან. მასწავლებლები მეტათ აშკარად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ დიდი ხანს არსებობა საბჭოთა მთავრობისა—შეუძლებელია. შემდეგ ავტორი წინადადებას იძლევა ახლავე დახურონ ეს სკოლა და ბავშვები სხვა და სხვა მუშურ სკოლებში გაანაწილონ, რათა ჩაუნერგონ რევოლიუციონური სული. („პრავდა" № 238).

საქონლის ფასები მოსკოვში. მოსკოვიდან მიღებულ კერძო წერილში შემდეგ ციფრებს ვპოულობთ მოსკოვის ცხოვრების შესახებ, რომლებიც აგვისტოს ბოლო რიცხვებს შეეხება: შავი პური ღირს გირვ. 550 მან., თეთრი პური—1000 მან., კვერცხი—3500 მან. ათი ცალი, კარაქი—4500 მან., ხორცი—2000 მან., ნედლი კომბოსტო—450 მან. გირვ., რძე სტაქანი ნახევარი—420 მან., „სელიოდკა"—1000 მან. ცალი, ხიზილალა გირვ.—18.000 მან., შოკოლადი—18.000 მან., ჩაი—15.000 მ-დე, შაქარი—5000 მან., პაპიროსი 25 ცალი—800 მან., ქუდი ცალი—600 მან., კოჭი ძაფი—1000 მან., ნემსი ცალი—150 მან., ქართოფილი—250 მან. გირვანქა. ბატინკები—60,000 მ-დე, კაცის ნასკები—3000—5000 მან., ქალის ჩულქები 12000 მან. წყვილი; კაცის კასტიუმი საშუალო ღირსების—200,000 მ-დე, ეტლი—3000—5000 ერთ გზობაზე, ტრამვაი—7 მან. ერთი სადგური. ტრამვაის მოძრაობა ყველა ლინიებზე არ ხდება; დაახლოვებით ძველი ვაგონების რაოდენობის 10—15% მუშაობს. რკინის გზებზე მიმოსვლა რამოდენიმეთ წესიერათ ხდება მხოლოდ ზოგიერთ რაიონებში, მაგ. მოსკოვ-პეტროგრადისა და მოსკოვ-მინერალურ წყლებს შორის. მაგრამ მატარებელში ჩასაჯდომათ საჭიროა ცენტ. აღმ. კომიტეტის ნებართვა. („ვ გ.").

„წითელ" აზერბეიჯანში

(გაზეთებიდან)

მეტომრეობა. ბაქოს „კომუნისტი" სწერს: ჩვენს რკინის გზებზე მატარებლების გამოსვლა შემცირებულია; ვაგონები სავსეა მგზავრებით, მუხრუჭები, საფეხურები და სახურავები სულ დაკავებულია. ვაგონში გავლა არ შეიძლება. ბაქანზე შეჯგუფებულია ხალხი ტომრებით, კალათებით, ვედრებით,—ესენი არიან, უმთავრესათ მოსამსახურეების, ხელოსნებისა და მუშების ცოლები. ესენი ელოდებიან განჯის მატარებელს. მიდიან ქართოფილის, ფქვილისა და ვაშლების საყიდლათ. ბევრი ამრიგათ არა ერთხელ და ორხელ მგზავრობს. ესენი ნამდვილი პროფესიონალური „მეშოჩნიკებია", რომლებიც ადვილათ ამარცხებენ საბჭოთა სასურსათო პოლიტიკას თავიანთი მტკიცე ფასებითა და სხვ.

სტამბები და საკანცელარიო საგნები. აზერბეიჯანის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ სერებროვსკიმ, სხვათა შორის, გამოცხადა: აზერბეიჯანში სულ 14 სტამბაა, რომლებშიაც 630 კაცი მუშაობს. ჩვენ მეტათ ღარიბები ვართ საკანცელარიო ნივთებით. საწერი ქაღალდი სულ არ იშოვება, საგაზეთო ქაღალდი კი არის 1224 ფუთი, „ნეფტკომში" კიდევ—800 ფუთი. კალმები—1486 კარობკა, თითულში 144 ცალი, ფანქარი—1790 გროსსი. დასახელებული რაოდენობა აზერბეიჯანის საბჭოთა დაწესებულებებსაც კი არ ეყოფა. „ვნეშტორგმა" უკვე გაგზავნა საზღვარ-გარეთ სათანადო ვალიუტა საჭირო საკანცელარიო საგნების შესაძენათ.

ბინაში მოკალათების კომუნისტები. ერთი ჯურის კომუნისტებზე ბაქოს „კომუნისტი" სწერს: „ბინაში მოკალათების კომუნისტები მუშათა წრეებში თითქმის უფრო მეტია, ვიდრე ინტელიგენციაში. მაგრამ უმთავრესათ ასეთ კომუნისტებს მუშების მაღალ წრეებში ვხვდებით: რკინის გზელებში, ლითონზე მომუშავეებში და სხ. გარეგნულათ ბინაში მოკალათების კომუნისტი არაფრით არ განსხვავდება დანარჩენებისაგან... ის ჩვეულებრივათ ნიადაგ კითხულობს გაზეთებს, თვალყურს ადევნებს პარტიულ ცხოვრებას, ხანდახან პარტიულ კრებასაც კი დაესწრება. მაგრამ სარგებლობა ასეთ კომუნისტიდან არავითარი არ არის. კრებებზე იგი ჩვეულებრივათ სიჩუმეს იცავს, თუმცა კი უნდა ილაპარაკოს; მაგრამ ეშინია ამაღლების: მას აირჩევენ რამე საპასუხისმგებლო ალაგზე და დააკისრებენ რომელიმე საბუთს, რითაც ბოლო მოეღება მის ბინაში მოკალათების... ამ კომუნისტებს—თანამედროვე ობლომოვებს, ფიზიკურათ სძაგთ ყოველგვარი სამუშაო. ისინი სცხოვრობენ თავიანთი ბედნიერებისათვის,.. მათ დიდი გავლენა აქვთ ქალებში, როგორც გონება-მახვილ ადამიანებს, და თავიანთი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს მათთან ატარებენ.

მებამბეობა: მებამბეობის კატასტროფულმა მდგომარეობამ მოსკოვში გამოიწვია შიში. ბამბით დათესილი მიწა 130 ათას დესიატინიდან 30 ათას დესეტინამდე შემცირდა. წინათ ბამბით დასათეს ადგილებს ახლა ხნავენ და პურს სთესენ.

მოსკოვში გადაწყვეტილია მიიღონ მთელი რიგი ზომებისა მებამბეობის განსავითარებლათ. მებამბეობის საჭიროებისათვის გადადებულია 225 მილ. მან. განზრახულია ბამბის მწარმოებლებს მიეცეს მანუფაქტურა, საპონი და სხვა პროდუქტები, განსაზღვრულ რაოდენობით ბამბის მოტანისათვის.

ჩრდილო-კავკასიაში

„წითელი" დაღესტანი

აღმოსავლეთის „მოქმედებისა და პროპაგანდის საბჭოს" პრეზიდიუმის წევრი მ. პავლოვიჩი ბაქოს „კომუნისტში" უზიარებს მკითხველებს თავის შთაბეჭდილებებს დაღესტანის ცხოვრებიდან. სხვებთან ერთად მ. პავლოვიჩი დაწვრილებით სოფ. ლევაში მომხდარ ყრილობას, რომელიც მოწვეულ იქნა დაღესტანში მოცინსკისა და ალიხანოვის ამბოხების გამო. პავლოვიჩი სხვათაშორის სწერს;

„დელეგატები სჩივიან: ჩვენ გავიგონეთ ბევრი სამართლიანი, საყვედური საბჭოთა წარმომადგენლების სულელურ, ზოგან წმინდა პროვოკაციულ განკარგულებების შესახებ. ასე მაგალითად, ჩვენ გავიგეთ; რომ საოლქო სასურსათო კომიტეტს გამოუცია განკარგულება, რომლის თანახმათაც დარგინის ოლქმა ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაამზადოს 10.000 ფუთი ქერი, 20,000 ნაქერი შალი, 10.000 ფ. ჩალა და სხვ. ჩვენ ვპოულობთ აგრეთვე, რომ სასურსათო კომიტეტს უბრძანებია გამოერკვიათ ქათმების რაოდენობა და ანგარიშზე აეყვანათ იგი.

„დაღესტნის მცხოვრებნი იმდენათ შიშველნი და ფეხშიშველნი არიან, რომ სოფლებში 12 საათამდე მამა-კაცებს არა აქვთ კარში გამოსვლის უფლება, რათა შესაძლებლობა მიეცეს ნახევრათ შიშველ ქალებს შეასრულონ საოჯახო სამუშაო; ასეთი ბრძანება გამოსცა ავარიის რაიონის „რევკომმა"... დაღესტანის პური ადგილობრივ მცხოვრებთ ნორმალურ პირობებში ყოფნიდათ მხოლოდ სამ თვეს. მიმდინარე წელს კი გვალვების, სეტყვისა და კალიის გამო მოსავალი ეყოფათ მხოლოდ 40 დღე. და აი, ასეთ დროს გამოდის ვიღაც უპასუხისმგებლო პირი და ბრძანებს ყველა ქათმების აღწერას და მოითხოვს მცხოვრებლებისაგან ერთი კვირის განმავლობაში 10,000 ქერსა და სხვ. ასე დასცინიან სიღარიბეში მყოფ გმირ მცხოვრებლებს! ..

პავლოვიჩს მოჰყავს ერთ-ერთი დელეგატის სიტყვა, რომელიც ამბობს: „ჩვენ არ მოვითხოვთ დახმარებას მოსკოვიდან და პეტროგრადიდან. მოგვეცით ის მაინც, რაც ჩვენ ხელთა გვაქვს. რად არ გვაძლევენ ჩვენ ნავთს? ჩვენ ვიცით, რომ ჩვენივე საწყობებში დარგინის ოლქში ბევრი არის ნავთიცა და ფართალიც. მაგრამ როდესაც ჩვენ ვითხოვთ მოგვცენ ეს საქონელი, ისინი გვიპასუხებენ: ჩვენ ნაბრძანები გვაქვს,—სანამ თქვენს ნარიადებს არ შეასრულებთ, სანამ არ წარმოადგენთ პირუტყვების განსაზღვრულ რაოდენობას, არც ერთი გირი ნავთი, არც ერთი არშინი ფართალი არ მოგეცემათ. მაგრამ, აბა, სად ვიშოვნოთ ჩვენ ეს საქონელი, საიდან ვიშოვნოთ ქათმები და კარაქი რასაც ჩვენგან მოითხოვენ? ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენი სისხლის მიცემა და ჩვენ კიდეც ვაძლევთ მას...

პავლოვიჩი აღნიშნავს რელიგიურ ფანატიზმს და განაგრძობს: „დელეგატები საყვედურობენ უფრო მეტათ არა იმიტომ, რომ მათი ქალები და ბავშვები შიშველი არიან, არამედ იმიტომ, რომ მათ არაფერი აქვთ მკვდრებისათვის ტანთ ჩასაცმელათ; ნავთის უქონლობის გამო ვერ კითხულობენ სადამ წიგნებს... დელეგატების საყვედურებიდან შემდეგ გამოირკვა, რომ „პროდკომებს" მოუთხოვიათ რამოდენიმე კვერცხი თითო ქათამზე და 3½ გირ. კარაქი თვითეულ სულ ძროხიდან; თუ კი მცხოვრებლები არ გადიხდიან ამ რაოდენობას,—მაშინ ჩამორთმეული იქნება სრულიად ძროხებიცა და ქათმებიც. უბნებისა და სოფლის „რევკომები" ჰკრეფენ გადასახადებს მცხოვრებთაგან და ინაწილებენ თავიანთ შორის. ერთ ერთი დელეგატი მოითხოვდა საბაჟო გადასახადის მოსპობას აზერბეიჯან-დაღესტან თერგის ოლქს შორის, ვინაიდან ეს შიმშილით სიკვდილს უქადის დაღესტანელებს.

ბევრი ილაპარაკეს დელეგატებმა აგრეთვე ადგილობრივ „ზემოტდელების" მოქმედების შესახებ. უკანასკნელებმა აკრძალეს მიწის დამუშავება მანამდე, სანამ მიწა არ იქნება განაწილებული; მაგრამ რადგანაც „ზემოტდელებს" არა აქვთ ძალა მიწების განაწილება მოახდინონ,—მთელი მიწები დაუმუშავებელი რჩება.

ორჯონიკიძეს კი დელეგატების საყვედურებზე განუცხადებია; „საბჭოთა ცენტრალური მთავრობა არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ შეცდომებისა და ბოროტმოქმედებისათვის, რასაც მისი წარმომადგენლები სჩადიან ადგილობრივათ" და „თუ გამწარებულმა ხალხმა საბჭოთა მთავრობას წინააღმდეგ ამბოხებებს მიმართა,—მაშინ საბჭოთა ადვოკატები ბრალს სდებენ „სოციალ-გამყიდველთა საქართველოსა" და სხვებს.

აჯანყებები თერგის ოლქში. აჯანყებები თერგის ოლქში არ სცხრება მიუხედავათ იმისა, რომ აჯანყებულებს საბჭოთა მთავრობა სასტიკათ ებრძვის. ამ ჟამათ გროზნო-კავკავის რკინის გზაზე მიმოსვლა შეწყვეტილია, ვინაიდან ამ ხაზის გასწვრივ ყველა სტანციებზე აჯანყებულები არიან; აჯანყებულებს შეუერთდენ რაზმები, რომლებიც ამ დრომდე მთებში იმალებოდენ. აჯანყებები მოიცვა აგრეთვე მოზდოკისა და ყიზლიარის რაიონებს, სადაც, თუ ხმებს დავუჯერებთ, ბრძოლას აწარმოებენ გენ. ფოსტიკოვის რაზმიდან დარჩენილი ნაწილები.

კავკავიდან ჩამოსული პირი სუნჟენის ყაზახების აჯანყების შესახებ შემდეგს გადასცემს გაზ. „ვ. გ."-ის თანამშრომელს: აჯანყება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბოლშევიკებმა სამი დღის განმავლობაში მოითხოვეს პურის, ხორცის, თივის, ცხენების და სხვა საგნების მიღება. ყაზახებმა განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ შეასრულონ ეს მოთხოვნილება. მაშინ მათ წინააღმდეგ ბოლშევიკებმა გაგზავნეს დამსჯელი რაზმები და ჯავშნოსნები. კარაბულაკის სტანციამ მოთხოვნილება შეასრულა; ამიტომ იგი ხელ უხლებლათ დასტოვეს. სასტიკი ზომები იქნა მიღებული შემდეგი სტანიცების წინააღმდეგ: ტროიცკაია, მიხაილოვსკაია, ზაკან-იურტოვსკაია და ალხან იურტოვსკაია. დასახელებულ სტანიცებს ესროდენ ზარბაზნები და როდესაც მცხოვრებლები გაიქცენ, ბოლშევიკებმა დაიკავეს სტანიცები და დაიწყეს ძარცვა გლეჯა. დამსჯელი რაზმის უფროსმა დავიდოვმა წინადადება მისცა მთიელებს, რათა მათ დახმარება აღმოეჩინათ ბოლშევიკებისათვის ყაზახების წინააღმდეგ. სამაგიეროთ დავიდოვმა აღუთქვა მთიელებს იმ საქონლის დაბრუნება, რაც დენიკინის დროს მათ წაართვეს ყაზახებმა. ამ ნიადაგზე ინგუშებში განხეთქილება მოხდა. დავიდოვის წინადადება მიიღეს ინგუშებმა და სურხახნელებმა, იმათ, რომლების სტანიცაც განადგურებული იყო დენიკინელების მიერ. ჩანდირცევს, რომელთა სოფელშიაც უნდა გაევლოთ ზემოთ დასახელებულებს, არ უნდოდათ გაეშვათ ისინი ყაზახების ქონების განაწილებაში მონაწილეობის მისაღებათ. მოხდა შეტაკება, რის შედეგიც ის იყო, რომ სტანიცა ფანდორკა ცეცხლის ალში მოექცა. ყაზახების უმრავლესობა მდ. თერგის იქით გაიქცა, სადაც, როგორც ამბობენ, იმალება ყაზახების გენერალ ფედიუშკინის რაზმი. ლტოლვილ ყაზახებიდან სხვადასხვა ალაგებში მოეწყო პარტიზანული რაზმები, რომელთა საერთო რაოდენობა 10,000 კაცს აღწევს.

როგორც დამატებითი ცნობებიდან ირკვევა, ბოლშევიკებმა ჩაუქრიათ სუნჟენის აჯანყებები. ყველაზე უფრო დაზარალდა სტანიცა ტროიცკაია, სადაც დაიწვა 50 მდე სახლი. სხვა სტანიცებს იარაღი აჰყარეს; შინაური საქონელი ჩამორთმეულ იქნა. („ვოლ. გორ.").

სად არის წითელი ჯარი? კავკავში ამ ჟამათ თითქმის სულ არ დარჩენილა წითელი ჯარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამსჯელ რაზმებსა და „ვოხრას" (შინაურ წესრიგის დამცველნი) ნაწილებს. გარნიზონი შესდგება ტამბოვისა და ვორონეჟის გუბერნიებიდან გამოგზავნილ 16—18 წლიანებისაგან. ჯარები მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებენ მნახველებზე, ვინაიდან ჯარისკაცებს ტანისამოსი არა აქვთ. („ვ. გ.").

უცხოეთი

საფრანგეთი.

ჟიულ გედი და მეორე ინტერნაციონალი. გაზეთ „კრი დიუნორი"-ს („ჩრდილოეთის ხმა") 13 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია საფრანგეთის მარქსიზმის დამფუძნებლის—ჟიულ გედის წერილი დელორისადმი.

„ძვირფასო დელორი! ავათმყოფობის გამო ლოგინთ ჩავარდნილმა, მე მხოლოდ შემიძლია დავადასტურო ის განცხადება, რომელიც გავაკეთე თქვენთან და აგრეთვე ჩვენ მეგობრებთან—ლებასთან და ინგელსთან.

უპირველესად ყოვლისა აღვნიშნავ, რომ პარტია არ უნდა დაემორჩილოს იმ ჭეშმარიტად მომაკვდინებელ პირობებს, რომლებიც მას გარედან დაუყენეს; პარტია უნდა დარჩეს დამოუკიდებლათ, და შეინარჩუნებს რა სრულ თავისუფლებას საშუალებათა არჩევის საქმეში, მან უნდა იბრძოლოს კაპიტალისტების კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპროპრიაციისათვის შრომისა და კაცობრიობის გასანთავისუფლებლათ.

შემდეგ უნდა ითქვას, რომ მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლის გამო ჩვენ არ შეგვეძლიან შევიდეთ მესამეში, როგორიც არ უნდა იყვეს ის, ისე, რომ არ შევიტანოთ საშინელი განხეთქილება მსოფლიო პროლეტარიატის რიგებში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მთლიანი ინტერნაციონალი, მოწვეული მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიების ურთიერთ მოქმედების და შეთანხმების ნიადაგზე.

საფრანგეთის სექციამ დაუყონებლივ უნდა მოიწვიოს, განურჩევლად ყველა პარტიებისა, წინასწარი კონფერენცია, ეს მისი მოვალეობა.—რუსეთის კომუნისტური პარტია, ბრიტანეთის მუშათა პარტია, ბელგიის მუშათა პარტია და სხ. და სხ.

დაბოლოს, ჩვენ თავის წინაშე ვალდებულნი ვართ მთელი ჩვენი ძალ ღონით ვიბრძოლოთ ყოველივე ინტერვენციის წინააღმდეგ რევოლიუციონურ რუსეთის საქმეში, რომელმაც თითონ უნდა გადასწყვიტოს თავისი ახლანდელი და მომავალი ბედი თუმცა ამით ჩვენ არ ვიღებთ თავის თავზე ყოველივე იმის პასუხისმგებლობას, რაც ხდება მეფეთა ყოფილ იმპერიაში.

ასეთია, ძვირფასო დელორი, ჩემი შეხედულება, და მე ბედნიერი ვიქნები, თუ იმას გაიზიარებენ ჩვენი ძველი ამხანაგები, რომლებთანაც ერთად მე ნახევარ საუკუნის განმავლობაში ვიბრძოდი ჩვენი ბრწყინვალე იდეალებისათვის".

იტალია.

იტალიის მუშათა დელეგაციის მოხსენება რუსეთის მდგომარეობის შესახებ. პრაგის სოციალისტური გაზეთ „ვოლ. რონ."-ს ატყობინებენ რომიდან, რომ უკანასკნელ ხანებში იქ გამოქვეყნებულა სერიოზული მოხსენება შრომის მთავარი კონფედერაციისა იმის შესახებ, თუ რა ჰნახეს რუსეთში მისმა წარმომადგენლებმა, რომლებიც შედიოდენ იტალიის სოციალისტურ დელეგაციაში. შთაბეჭდილება ამ მოხსენებიდან მით უფრო ძლიერია, რომ ამ მოხსენებას წინ უძღოდა ტრიესტის თათბირზე მოსმენილი იტალიის საპარლამენტო ფრაქციის მოხსენებები საბჭოთა რუსეთის შესახებ. მოხსენება დეპ. ბომბაჩისა და ზომიერი ნაწილობრივათ სკეპტიკური, მაგრამ საერთოდ მაინც ოპტიმისტური მოხსენება „ავანტი"-ს რედაქტორის—მენოტი სერატისა.

მოხსენება თავდაპირველათ ეხება მცხოვრებთა არსებობის ფიზიკურ პირობებს და აღნიშნავს, რომ მცხოვრებთა არსებობა დახასიათდება, როგორც „მატერიალური და მორალური სიღატაკე." ცდა იმისა, რომ წარმოების ხელმძღვანელობა დაუყონებლივ მუშათა ხელში გადაეცათ—ეს ცდა აღიარებულია „საბედისწერო ცდათ", რომელმაც გამოიწვია რუსეთის წარმოების დანგრევა. ბოლშევიკური მთავრობა უძლური გამოდგა რუსეთის ეკონომიური აღორძინების საქმეში და საეჭვოა, რომ განმარტოვებულმა რუსეთმა შესძლოს სამოქალაქო ცხოვრების ოდნავათ მაინც ნორმალურ პირობებში ჩაყენება. რაც შეეხება სოციალურ თანასწორობის პრინციპს, რომელსაც აცხადებს კომუნისტების პროგრამა,—პრაქტიკულად ის ხორციელდება—„ყველა კლასების გათანასწორებით მათ ცხოვრებაში"... ხსენების აზრით ჯერ კიდევ არ არის მოახლოვებული ბოლშევიკურ რეჟიმის დამხობის დრო.

ამ რეჟიმს ამაგრებს უპირველესად ყოვლისა ის გარემოება, რომ გლეხებს ეშინიათ რეაქციისა და მემამულეთა მიწათ-მფლობელობის აღდგენის; ამიტომ ისინი ურიგდებიან ამ რეჟიმს, თუმცა არსებითად, გლეხობის შორის უფრო მეტი გავლენა სოციალისტ-რევოლიუციონერებს აქვთ, ვიდრე კომუნისტებს.

ბოლშევიკების რეჟიმს ამაგრებს აგრეთვე ის, რომ ბოლშევიკები გაურჩევლათ ხმარობენ ყველა საშუალებებს იმისათვის, რათა დაიცვან თავისი ძალაუფლება, რომელიც სინამდვილეში მცხოვრებთა დიდ უმცირესობას ეყრდნობა. მოხსენებაში აღნიშნულია ის დევნაც, რომელსაც განიცდიან ესერები და მენშევიკები.

მოხსენება ასე თავდება: „სინამდვილე განსხვავდება ბოლშევიკების იდეალურ პროგრამიდან". სინდიკალიზმის ინტეგრალურ რეალიზაციის მოლოდინში რუსეთი ახდენს კომუნიზმის ცდას, რომლის თეორეტიული მტკიცება არავითარ შემთხვევაში არ შეეფარდება მის პრაქტიკულ შედეგებს. საკითხი იყო ერთი ეკონომიური რეჟიმის მეორეთი შეცვლის შესახებ. მაგრამ ბოლშევიკებსაც არ მოეპოვებათ მომზადება და უნარი, რომელიც საჭიროა ახლად წამოჭრილ პრობლემების გადაწყვეტის დროს.

კაპიტალისტური რეჟიმი განადგურებულია, მაგრამ დღემდე რევოლიუციას არ შეუცვლია ის არაფრით, რასაც შეეძლებოდა დაეკმაყოფილებინა კულტურულ ხალხის თუნდაც ყველაზე უფრო ელემენტარული მოთხოვნილებები. პრეტენზია იმის შესახებ, რათა კომუნიზმის პრინციპები, მოუმზადებლათ და დაუყონებლივ განხორციელებულიყო ცხოვრებაში,—დაუკმაყოფილებელი დარჩა. ისინი პრაქტიკულათ გამოუსადეგარნი აღმოჩნდენ; და რომ ქვეყანას შერჩეს ცოტათი მაინც შესაძლებლობა ეკონომიური ცხოვრებისა,—საჭიროა მუდმივი დათმობები... რასაკვირველია, არ უნდა დაუშალონ რუსეთის ხალხს ამ ცდის შესრულება, რაკი ასეთია მისი ნებასყოფა. მაგრამ მას უნდა მიშველება კულტურის სახელით, რომ მან თავი დააღწიოს მძიმე მდგომარეობას; რომ მან უარჰყოს ის შეცდომები, რასაც ალაგი აქვს მის მუშაობაში.

თავდაცვისათვის

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში. ნოემბრის 18 ქალაქის თვითმართველობის შენობაში, ს. ქორქელიანის თავმჯდომარეობით შესდგა რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის პლენუმის სხდომა. სხდომაზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: 1) სახელმწიფო ბანკი; 2) სოც.-რევ. პარტიის საბჭოს კომიტეტი; 3) ებრაელთა ორგანიზაცია; 4) კოოპერატიული ბანკი; 5) დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი; 6) ფაბრიკანტთა და მექარხნეთა საზოგადოება; 7) სასოფლო-სამეურნეო ბანკი; 8) კომერციული ბანკი; 9) მეღვინეთა საზოგადოება; 10) ცენტრო-ბანკი; 11) სახალხო უნივერსიტეტი; 12) მუშათა კლუბი; 13) საქართველოში არსებული რუსთა ეროვნული საბჭო; 14) წითელი ჯვარი; 15) ამიერ კავკასიის ბანკი; 16) თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოება; 17) მწერალთა კავშირი; 18) ერობათა კავშირი და სხვა. სხდომის გახსნისას ს. ქორქელიანმა გააკეთა მთელი მოხსენება მიმდინარე მომენტისა და კომიტეტის მოქმედების შესახებ. შემდეგ სხდომა შეუდგა ფრონტის დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვას, ცალკე სექციების არჩევას, ახლად დაარსებულ თავდაცვის ფონდთან დამოკიდებულების საკითხის გარჩევას. საკითხების განხილვის შემდეგ დაადგინეს აირჩიონ 8 სექცია, რომლებსაც დაევალათ ფულის, თეთრეულისა, საპნისა და სხვათა შეგროვება, სხდომის დასასრულ მოვიდა გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი, რომელსაც ს. ქორქელიანმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა. სხდომის დასასრულ გადაწყდა აირჩიონ წარმომადგენლად თავდაცვის კომიტეტში ფრონტის დამხმარე კომიტეტიდან ს. ქორქელიანი.

კომიტეტის სექციები მუშაობას უკვე შეუდგნენ, გაიხსნა საწყობები და დაიწყო შემოწირულებათა მიღება დამფუძნებელი კრების შენობაში. შემოწირულებათა მიღება შეიძლება დილის 10-დან დღის 2 საათამდე. ყოველგვარ ცნობის მიღება შეიძლება ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ს. ქორქელიანთან (დამფ. კრება—ქვესტორის კაბინეტი). (სდს)

ოპერა „ღალატი" სახელმწიფო თეატრში

(მუსიკა მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვისა, ლიბრეტო ა. ი. სუმბათაშვილის—იუჟინის დრამიდან, თარგმანი კ. ფუცხვერაშვილისა).

ოპერა „ღალატი"-ს დადგმა თფილისის სახელმწიფო თეატრის სცენაზე აიხსნება უმთავრესად, ცხადია, არა მისი მუსიკის მაღალ ღირსებით, არამედ ოპერის საინტერესო და ლამაზ ლიბრეტოთი, რომელიც ჩვენს წინ აცოცხლებს ერთ ერთ უდიდეს ისტორიულ ლეგენდას საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ეპოქიდან,—იმ დროიდან, როდესაც საქართველო დამონებული ჰყავდა სპარსელებს. ა. ი. სუმბათაშვილის—იუჟინის პოპულიარული პიესა, რომელიც თავის დროს დიდის წარმატებით იდგმებოდა რუსეთის ყველა სცენებზე და თფილისშიაც ქართულად. დღეს მკაცრ თეატრალურ თვალსაზრისით, შეიძლება ცოტათი მოძველებულათ გვეჩვენოს, ვინაიდან იგი ეკუთვნის „დეკორატიულ" პიესათა რიცხვს. მაგრამ თავის თავად ის ისტორიული ლეგენდა, რომელიც საფუძვლათ დაედო პიესას, იმდენათ ძლიერია და დრამატიული და იმდენად რბილად და სითუთით არის დამუშავებული სუმბათაშვილის პიესაში, რომ მისი მოსმენა დღესაც დიდის ინტერესით და სიამოვნებით შეიძლება. ოპერისათვის ეს პიესა ჭეშმარიტათ საუკეთესო სიუჟეტს წარმოადგენს: მასში არის ხლართული ელფერი და აღმოსავლეთის საინტერესო კოლორიტიც; არის ფაბულის მკაცრი სიმარტივე, რაც ამარტივებს და ადვილ გასაგებათ ხდის თვით მოქმედებასაც.

მ. მ. იპოლიტოვ ივანოვმა, რომელიც დიდი ხნით ცხოვრობდა თფილისში და რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა გაეცნობოდა მდიდარ ქართულ სახალხო მუსიკას, მიზნათ დაისახა დაეწერა ოპერა „ღალატი"-ს სიუჟეტით; ამ მიზნით მან ისარგებლა ბევრ სახალხო სიმღერებით, რომლებიც მისთვის ჩაწერეს ზოგიერთმა მისმა მეგობრებმა. ყველა ეს ხელთნაწერები გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალ „არტისტ"-ში მას შემდეგ, როდესაც ოპერა პირველათ იქნა დადგმული მოსკოვში. მათში ბევრი არის კარ-

გი ალაგები; მაგრამ ყველაფერი ეს არაა დამუშავებული ისე ღრმათ, როგორც მოითხოვს სახალხო სიმღერები.

როგორც არ უნდა იყოს, — იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატს“ მუსიკალობის მხრივ არ შეიძლება მიითვისოს სახალხო ოპერის წოდება. „ღალატის“ მუსიკა როგორღაც ზერელეთ არის დაწერილი. მის ჰარმონიებში სრულიად გამომხრჩვალია ნაციონალური კოლორიტი. გარდა ამისა მის მიერ გამოყენებული სახალხო სიმღერები იმდენათ გადაცვლილია ჰარმონიზაციით და შემცვარ რითმიულ ალაგების წყალობით, რომ მათში ძნელი შესამჩნევია ძირითადი დასაწყისი სახალხო სიმღერებისა. მაინც არის ორი-სამი ალაგი ოპერაში, რომლებსაც რამოდენიმეთ შერჩენიათ კოლორიტი „ორიენტალიზაციის“ ჩვეულებრივ შაბლონიურ მეთოდების წყალობით, რითაც კომპოზიტორი სარგებლობს და რაც ასე თუ ისე შეფარველობას უწევს სახალხო მელოდიის კოლორიტს. ეს ალაგებია: იუმორისტული სიმღერა ბერიკისა (ოთარ-ბეგის მოსამსახური) მე-2 აქტში, ზოგიერთი ცეკვა, და ლამაზი მარში — ჰიმნი, რომლითაც მეოთხე აქტი თავდება და რომელიც ენერგიულათ გამოისმის უკანასკნელ აქტში. ყოველ შემთხვევაში, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოთ, რომ იპოლიტოვ ივანოვს ორკესტრი კარგათ ესმის და ორიგინალში ორკესტრის მხრივ ოპერა საკმაოთ ლამაზათ გამოისმის. თფილისში მოწყობილი ორკესტრი რამოდენიმეთ ერთფეროვანია. მთავარი ნაკლი კი იმაშია, რომ იგი არის თხელი, დაბალი: ზოგან გრძნობ, რომ ორკესტრში არ არის საჭირო სიმაღლე და ხმის აწევა, რაც მუსიკას უკარგავს დრამატიულ ხასიათს.

მიუხედავათ დასახელებულ დეფექტებისა მუსიკაში, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ოპერა სასიამოვნო მოსასმენი და სანახავია. ხოლო ა. რ. წუწუნავას მიერ მისი მშვენივრად დადგმა მისგან ქმნის საზეიმო და სადღესასწაულო სანახაობას, რაც მხედველობას ატკბობს და უზრუნველყოფს პიესის უეჭველ წარმატებას ქართულ სცენაზე.

„ღალატი“-ს ძველი დეკორაციები (სამწუხაროთ, მათი ავტორი არ არის ნაჩვენები), რომლებიც შორს არის ნოვატორობიდან, მაგრამ რომლებიც, სამაგიეროთ, დაწერილი არის მეტად-მეტი გულდასმით, დეტალურათ, — „პატიოსნათ“ (როგორც ხშირად ამბობენ მხატვრები), ეს დეკორაციები ზოგან პირდაპირ უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენ. მათში არის რაღაც სადღესასწაულო, საზეიმო თეატრალობა, რაც ასე ზედმიწევნით შეეფერება პიესის სტილს. ოპერის მთელი პლანიროვკა, ყველა მასიური სცენები, ქოლგოსანთა გუნდები, ყველაფერი ეს საუცხოოთ მოფიქრებულია ბ-ნ წუწუნავას მიერ, რომელმაც ამ პიესაში დაამტკიცა, რომ იგი დიდი ხელოვანია დიდ მასიურ სცენების დადგმაში. სახელმწიფო თეატრის ყველა კოსტიუმები დიდის გემოვნებით არის გამოყენებული და ფერიად ნათელ და ლამაზ სურათს იძლევა.

ოპერაში საუცხოვოთ არის დადგმული ცეკვა ბ-ნ მორდკინის მიერ; სახელმწიფო თეატრის ბალეტი სრულიად გადახალისებულია მის გამოცდილ ხელში; ცეკვის დადგმაში არის ხასიათი და სტილი. არის დიდი გემოვნება და აქ ბალეტი მეტად საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს.

დიდის დაკვირვებით ასრულებდნენ თავიანთ პარტიებს მონაწილენი; ოპერა შეთვისებულია გულდასმით და დაკვირვებით. ქ-ნ ალიშვილს ბევრი თბილი და გულწრფელი ალაგები ჰქონდა, თუმცა საერთოდ მისი ზეინაბი არაბუნებრივი და თეატრალობით გატკეცილი გამოდგა, ქ-ნ ბურაგო-ცეიბ-ნოვსკის შეორე უდიდესობა ახასიათებს: მონა რუქაია ამ მსახიობ-ქალის განსახიერებით ძალიან ცოტა ჰგავს მონას. ყველაზე უფრო მთლიანი და სწორი განსახიერება მოგვცა ბ-ნ სარაჯიშვილმა; იგი ძალიან ლამაზი და კეთილშობილი ერეკლე იყო. თვით ოპერაში უხეირობათ ჩაკერებული ეს პარტია მშვენივრათ გამოიყვანა პირველ რიგში ნიჭიერმა მსახიობმა, რომელიც ამ პარტიას ჩვეულებრივ ტემპერამენტით და მუსიკალობით ასრულებს. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საერთოდ ოთარ-ბეგის პარტიაში ბ-ნ ელიოზაშვილმა: მის ხმაში არის სასიამოვნო ნოტები, მისი სიმღერა არ არის მოკლებული მუსიკალობას და მსახიობს სჭარბობს თვალსაჩინოთ გვისურათებს ოთარ ბეგის პიროვნებას. კარგათ გამოიყვანა სოლეიმან ხანის პარტია ბ-ნ საბინინმა; ასრულებაში არ არის იუმორს მოკლებული ბ-ნ კურბატოვის მიერ შესრულებული ბესოს სიმღერა. კარგები იყვნენ ბბ-ნი: ეზროვი საბა ბერის როლში, დეპიანენკო — ანანია გლახას როლში და სხ.

შემსრულებლებს ყველას შესაფერი გრიმი აქვთ. სათანადო სიმაღლით არის გატარებული მასიური სცენები და იმდენათ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ, რომ საზოგადოება ხშირათ ტაშის ცემით აწყვეტინებდა მოქმედებას.

ყველა შემსრულებლებს, ბ-ნ წუწუნავას და ბ-ნ სტოლერმანს ოვაციები გაუმართეს.

გლ. ცად—მ.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

19 ნოემბერს პროფ. კავშირთა საბჭოში ხელახლად გაირჩა საკითხი მუშათა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ და იმაზე, თუ რა ზომებით შეიძლება ამ მდგომარეობის ცოტათი მაინც გაუმჯობესება. ამხ. ჩხენკელი აცნობს სხდომას იმ რეზოლიუციას, რომელიც გამოტანილ იქნა პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტისა და სეკრეტარიატის შეერთებულ სხდომაზე და რომლითაც დადგენილ იქნა: ვინაიდან საქართველოს კარს მოადგა გარეშე საფრთხე, ამიტომ დროებით მოიხსნას საკითხი პურის რაციონის გადიდებისა და ერთდროულ დახმარების მიცემისა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ყველა აღნიშნავდა რომ მშრომელთა მდგომარეობა აუტანელია, აღნიშნავდნენ — არამც თუ დიდები, არამედ — ბავშვებიც კი იხოცებიან შიმშილისაგან და სიცივისაგან და რომ საჭიროა მათი დახმარება, მაგრამ სხვადასხვა აზრი იყო იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მუშათა მოთხოვნილება. ერთნი სცნობდნენ რა ქვეყნის დაცვის აუცილებლობას, აღნიშნავდნენ, რომ სამშობლოს დაცვისათვის მარტო მუშათა კლასის თავდადება უსამართლობა იქნებოდა. მათი აზრით არ შეიძლება მშიერი მუშა სამშობლოს კარგი დამცველი იქნეს. ამიტომ აუცილებელია ყოველივე ზომები იქნას მიღებული, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მოთხოვნილება ასეთია: 1) მოეწყოს მუშათათვის პირველ საჭიროების საგნების რეგულიარული მოწოდება, 2) გადიდებულ იქნას პურის რაციონი, 3) მიეცეთ ერთდროული დახმარება, 4) გადასინჯულ იქნას მუშათა ჯამაგირები 1 იანვრიდან, 5) სასტიკი ბრძოლა იქნას წარმოებული პირველ საჭიროების საგნების გაძვირების წინააღმდეგ, 6) მიეცეთ მუშებს გიგიენური ბინები, 7) მოეწყოს ეკონომიური საბჭო მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლობისაგან.

წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ასეთი მოთხოვნილების წამოყენების, ვინაიდან ეს ნიშნავს, მათი აზრით კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაყენებას როგორც სახელმწიფოსი, ისე მუშათა კლასის. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მომდგარ საფრთხის გამო ხსენებული კავშირი უარს აცხადებს პურის ულუფის გადიდებაზე და ერთდროულ დახმარების მიცემაზე.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა: დროებით მოხსნილ იქნას მოთხოვნილება პურის რაციონის გადიდებისა და ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ. ამასთანავე ერთად დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს შრომის-სამინისტროს დაურიგოს მუშებს შინ სახლში მიტანით და სხვა პირველ საჭიროების საგნების და აგრეთვე ქართოფილის და ხახვის ის რაოდენობა, რომელიც ეხლა აქვს სამინისტროს. 2) წინადადება მიეცეს მთავრობას მუშათა კოოპერატივებს მიეცეს სესხი მუშებისათვის პირველ საჭიროების საგნების სასყიდლად. 3) მოწვეულ იქნას საბჭოსა და ყველა კავშირების გამგეობების შეერთებული თათბირი, სადაც განხილული იქნება საკითხი მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ფრონტის დახმარება

საბჭომ დაადასტურა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის მიმართვა პროფ. ორგანიზაციებისადმი, სადაც კომიტეტი მოუწოდებს ყველას შეწირონ ნივთები ფრონტის სასარგებლოთ.

ექიმის თანაშემ. ინსტიტუტის გაუქმების საკითხი

14-აგვისტოს შესდგა სრულიად საქართველოს რესპუბლიკის ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალურ კავშირების დელეგატთა ყრილობა, რომელმაც სხვა საკითხებთა შორის განიხილა უმთავრეს წრეებში დასმული საკითხი ექიმის თანაშემწეთა ინსტიტუტის გაუქმების შესახებ ახლო მომავალში. ამ მიზნის განსახორციელებლად დადგენილია თანდათანობით დაიხუროს საფერშლო სასწავლებელი, სადაც მიმდინარე წლის პირველ კლასში მიღება არ ყოფილა. ყრილობამ ეს მოსაზრება დროის შესაფერისად სცნო და დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა დაჩქარებით იქნას მოყვანილი სისრულეში მთავრობის განზრახვა, ხოლო ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკაში ირიცხება არა ნაკლებ 500 ექიმის თანაშემწისა, რომელთა არსებობა უზრუნველ ყოფილი არ არის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რომ დაარსდეს ორკლასიანი დროებითი მოსამზადებელი კურსები, რომლის გავლის შემდეგ, ექიმის თანაშემწეთ მიეცემათ ზოგიერთი უფლებები და სხვათა შორის უფლება თავისუფალი და დამოუკიდებელი პრაქტიკისა; მსურველთ კი ეძლევათ უფლება განაგრძონ სწავლა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსებზე გადასვლით.

ყრილობის მიერ არჩეულმა კომისიამ შეიმუშავა ვრცელი პროგრამა კურსებისა და ვრცელ მოხსენებასთან ერთად 7 ნოემბერს წარუდგინა განათლების მინისტრს ამხანაგს, რომელიც სრულის თანაგრძნობით შეხვდა კომისიის მოსაზრებას და აღუთქვა გაუწიოს თავის მხრივ დახმარება ამ საკითხის სასურველად გადაწყვეტაში. მან, სხვათა შორის, სთქვა, რომ მთავრობის მიერ დანიშნულია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიმუშაოს სრული გეგმა, რომლის განხილვის დროს იქნება მოწვეული ექიმის თანაშემწეთა კავშირის წარმომადგენელიც.

ამ საკითხის გადაწყვეტილება გაზეთქვეყნებული იქნება პრესაში.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 ნოემბერს შესდგა საქართველოს სოც. დ. მ. პარტიის ჩუღურეთის რაიონის კოლექტივისა და ამავე რაიონში არსებულ ქვე-კოლექტივისა და სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენლების შეერთებული კრება. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. საერთო მდგომარეობის შესახებ ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. თევზაძე, მოსმენილ იქნა თფილ. კომ. წარმომადგენლის მოხსენება, რომლებიც კრებამ მიიღო ცნობათ.

წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიული და კულტურული მუშაობა ჩვეულებრივათ მიმდინარეობს. მობილიზაციით გაწვეული ამხ. დიდი ხალისით მიეშურებიან სამხედრო ნაწილებში და დეზერტირობას ადგილი არ აქვს, მოხსენებები მიღებულ იქნა მხედველობაში. რაიონში არსებულ სახალხო გვარდიის შტაბისა და მცირე კოლექტივის შორის დამოკიდებულების შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს კოლ. პრეზიდიუმის წევრი, განმარტებას აძლევს ამხ. თ. ვასაძე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: მცირე კოლექტივმა უნდა მიიღოს ზომები, რომ რაიონში არსებულ სახალხო გვარდიის შტაბთან ექნეს მჭიდრო კავშირი, რათა ბრძოლის ცეცხლში გაკაჟებული ამხ. გვარდიელები არ ჩამოშორდნენ პარტიულ მოვალეობას, და ორგანიზაციულ მუშაობაში, რამდენათაც ეს შესაძლებელია, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. მცირე კოლექტივს ევალება დაეხმაროს ფრონტზე გაწვეულ ამხ. გვარდიელების ოჯახებს და შეძლებისდაგვარათ აგზავნონ ფრონტზე სხვადასხვა სახის საჩუქრები. ქვე-კოლექტივს დაევალა სარეზერვო ჯგუფში ჩაწერილ ამხანაგებს თვალყური ადევნონ, რათა ეს უკანასკნელები პირნათლად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას და შტაბის განკარგულებას გვერდს არ უხვევდნენ.

ბიუროსათვის ახალი ბინის შოვნა მიენდო სტეფანიკი კომისიას. ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წარმომადგენელი ამხ. ბაქრაძე აცნობებს კრებას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ქალაქში თავი იჩინა საეჭვო მავნე ელემენტებმა, რომლებიც, რესპუბლიკისათვის შიშის მომგვრელნი არიან და საჭიროა ამ გარემოებას ადრევე მიექცეს ყურადღება, კრება ადგენს, ეთხოვოს ვისაც ჯერ არს მიაქციოს საჭირო ყურადღება ამ მოვლენას.

კუკიის მცირე კოლექტივის წარმომადგენლის განცხადებაზე, რომ მუშათა მაგიდის ზოგიერთ დაწესებულებებში მოკალათებული არიან არა სასურველი ელემენტები, კრება ადგენს: ეთხოვოს სათანადო ორგანოს მიიღოს შესაფერი ზომები ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლათ.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ბაკურიანი. 14 ნოემბერს შესდგა ბაკურიანის რაიონის ს. ს.-დ. მ. პარტიის ქვე-კოლექტივის არაჩვეულებრივი მამაკაცთა წრის და მორიგი ქალთა წრის კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ქვე-კოლექტივის თავმჯდომარემ მომენტის შესახებ. გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მხარი დაუჭიროს მთავრობას როგორც მობილიზაციის, აგრეთვე ყოველგვარ შინაურ მოუგვარებელ საქმეებში.

თავმჯდომარე ა. კაპანაძე.

სახალხო გვარდიაში

ხაშური. ხაშურის გვარდია, როგორც მუდამ თავის სიმაღლეზე მდგომი, რომელმაც არა ერთსა და ორ ომში ისახელა თავი მამულის საკეთილდღეოდ და არა ერთი და ორი მეომარი დასტოვა ომის ველის სამსხვერპლოზე. პირველ გამოძახილზევე, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და უცდის მხოლოდ წამს ნიშნის მიცემისას. თვითშეგნება და მომენტის მნიშვნელობა ნათელი და უდავოა მათთვის და გადაწყვეტილება მათი მტკიცე და შეურყეველი.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს ხაშურის და სურამის რკინის გზის შესართავ ყურე, ნოშელის მოედნისა, სადაც მუდამ დღე სწარმოებს გვარდიელთა ვარჯიში. როგორც შტაბი, ისე კულტურული კომისია ყოველნაირად ზრუნავს მათთვის. დრო გამოშვებით უმართავს მათ საღამოებს, ლექციებს, ამ დღეებში მათის ინიციატივით მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტის შესახებ ამხ. ი. გოშართელმა, ამხ. გოშართელის ნახვას ხაშურის ამხანაგები დიდი ხანია სულით და გულით ელოდნენ. მისმა მდაბიო ენამ და გრძნობით ალსავსე მოხსენებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მსმენელებში.

ხაშურის გვარდია და შტაბი კიდევ მეტად გაამხნევა და გაიმედა იმ სწორმა და სამართლიანმა დადგენილებამ, რომელიც გამოიტანა ხაშურის გვარდიის შტაბის შესახებ რესპუბლიკის გვარდიელთა საერთო ყრილობამ, სადაც იგი ცნობილ იქნა სოლექ შტაბად. ხაშურის გვარდია გრძნობს ყოველივე ამას და მზადაა დაუმტკიცოს ყველას, რომ იგი მართლაც ღირსია დამოუკიდებლობის და ფართო ინიციატივის შექმნის და გამოჩენის საშუალებისა.

ხაშური საქმიანობს. გვარდია მზადაა, იგი უხმობს სხვა ამხანაგებსაც... ელის მხოლოდ ნიშანს!

ალ. მაჭარაშვილი.

მუშათა შორის

ფოთი. 14 ნოემბერს მოხდა ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება ამხ. კომახიძის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში იდგა საკითხი კვირა-უქმეებში მუშაობის შესახებ. თავმჯდომარე აკეთებს მოხსენებას, სადაც არკვევს დღევანდელ ეკონომიურ კრიზისის მიზეზებს და ერთერთ საშუალებად ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა მიაჩნია კვირა-უქმეებში მუშაობის შემოღება და შრომის ნაყოფიერების აწევა. მომხსენებლის სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელსაც ცხარე ხასიათი ჰქონდა. ნაწილი მუშებისა წინააღმდეგი იყო უქმეებში მუშაობისა. „ექვს დღეს ვიმუშავეთ, მეშვიდე — კვირა ჩვენია, მეუბნელო“ — ამბობდა ამხ. დ. ჩხიკვაძე, რომლის სიტყვის შემდეგ გამოვიდა მოხსენებით შრომის კომისარი ამხ. რ. ქორქია, ის ამ საკითხს უკავშირებს რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებას, ეკონომიური ფრონტის გამაგრებას და ყოველ დღიური დაძაბვით მუშაობით დემოკრატიულ რესპუბლიკის გამაგრებას. „რევოლიუცია გრძელდება და რომელი მუშა-რევოლიუციონერი იტყვის: — უნდა წავიდე შინო, როდესაც წითელ დროშას მტრები აბევიათო“, ამბობდა ამხ. ქორქია. შრომის კომისარის თეზისების დასაცავათ გამოვიდნენ ფოთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ს. ჭიპაძე და კავშირის სააღმასრულო კასის თავმჯდომარე ამხ. ს. გოგიბერიძე. მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვით გამოვიდა ჰალარა მუშა ამხ. ს. მეგრელიძე, რომელიც უპასუხებდა მოწინააღმდეგეთ ჩხიკვაძესა და ჯიშს: „ამხანაგებო, თუ რევოლიუცია და ჩვენი კლასის ინტერესები მოითხოვენ, ჩვენ მზადა ვართ არამც თუ კვირებს, არამედ ღამეებიც ვიმუშაოთო“. კრებამ ამხ. მეგრელიძე მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

მიღებულ იქნა ამხ. ქორქიას რეზოლიუცია ერთხმით წინააღმდეგ ორისა, რომელთაც თავი შეიკავეს. „ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა მოისმინა რა მოხსენება კვირა უქმეებში მუშაობის შესახებ და გაითვალისწინა რა ის კრიტიკული ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკა, ადგენს: რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებლათ და ეკონომიური ფრონტის გასამაგრებლათ მუშები იმუშავებენ კვირა-უქმეებს საჭიროებისამებრ. კავშირი აღიარებს, რომ შრომის ნაყოფიერების აწევა და მუშაობის ინტენსივობა — ერთი საშუალებათაგანია, რომლითაც მუშათა კლასი შესძლებს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას და უკეთესი მომავლისაკენ ნაკლები მტკივნეულობით სვლას“.

ამხ. ჯიში ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ ხსნის თავის წინადადებას.

დასასრულ, სიამოვნებით აღვნიშნავთ რა ამ დადგენილებას, გამოვთქვამთ რწმენას, რომ გადამტვირთველი მუშები მომავალშიც იქნებიან საჭირბოროტო საკითხების სიმაღლეზე და ნაცად გზას არ აუხვევენ.

ლიდიანი.

პროვინცია

ს. ზუღდიეთი (ხევის თემი, გურია) ამას წინად სხვათა შორის მოხსენებული იყო გაზ. „ერთობის“ № 236 ცნობისათვის, რომ ზემო ხსენებულ სოფელში დაარსდა საზოგადოება, რომლის მიზანია პირველ ყოვლისა შეიძინოს აქვე მდებარე ვაკე მიწა ზომით 5 ქცევამდის საბალიშო სკოლისათვის და აქვე ხსენებულ მიწაზედ გაშენდება ყოველივე კულტურული დაწესებულებები. ზემოდ დასახელებულ მიწებთა შორის სოფელს უკვე ჰქონდა შეძენილი ზომით ერთი ქცევა ამ საზოგადოების უკვე შეძენილი მიწის ირგვლივ. სხვა მიწები ეკუთვნიან კერძო პირებს, ამათ შორის ერთი პატრონია სილევან გიორგისძე კეკელიძე, რომელმაც კეთილ ინება და ხსენებულ მიზნის განხორციელებისათვის შემოსწირა სოფელს ორი ქცევა ვაკე მიწა. ამისთვის ხსენებულ საზოგადოების მონდობილობით გაზეთის საშვალებით უცხადებ ულრმეს მადლობას. ამასთან მე იმედი მაქვს, რომ ამ მაგალითს მიხედავენ მიწების სხვა მეპატრონეები.

პლატონ ანთიძე.

კახეთი. 1917 წლიდან, როდესაც დიდმა რევოლიუციამ ძირიან ფესვიანათ შესცვალა სახელმწიფო წესწყობილება, ანარქიით შეშინებულმა თავადაზნაურობამ, იწყო მასსობრივი გაყიდვა თავის სახლ-კარისა და მამულებისა გლეხკაცებზედ და მაზრის ქალაქებისაკენ. მემამულენი ჰყიდდნენ თავიანთ მამულებს და სახლებს ნასყიდობის ხელწერილით უმცროსი ნოტარიუსის წესით (Запродажная запись) საფასურს მთლად იღებდნენ მყიდველობისაგან და შემდეგში, როდესაც მთავრობა ნებას დართავდა, ჰპირდებოდნენ უფროსი ნოტარიუსის წესით კანონიერად დამტკიცებას.

გავიდა წლები ამ გაყიდვის შემდეგ და ამ ჟამად, როდესაც ფულის კურსი შესამჩნევად დაეცა, მემამულეებს მოუწადინებიათ გაყიდულ მამულებზედ ფასის მომატება, ან და სრულიად უკანვე დაბრუნება და ამ მიზნით მოითხოვენ მყიდველ გლეხკაცებისაგან ფასის ერთი ასად და მეტად მომატებას, მიუხედავათ იმისა, რომ საფასურები მათ მიღებული აქვთ რამდენიმე წლის წინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ეუბნებიან დამტკიცებაზედ, უკანვე სთავაზობენ გლეხკაცის მიერ მოცემულ ფულს კუპიურ ჯარიმით (რამდენიც აღნიშნული იქნება „ნასყიდობის ქაღალდში“) და რომელსაც ეხლა შედარებით ნასყიდ მამულ იან არავითარი ფასი არა აქვს.

გლეხკაცები, როდესაც ყიდულობდნენ მემამულეებისაგან მამულს, თავის მხრივ უბრალო ნახევ ქაღალდებზედ დაწერვით ასყიდებდნენ თანამოძმეთ თავიანთ საკუთარ ყოველივე ქონებას სახლ-კარს, საქონელს და სხვას და მით იძენდნენ მამულებს, ამიტომ ეს მოვლენა უდიდეს უკმაყოფილებას და ღელვებას იწვევს ხალხში. ვინაიდან მამულების სყიდვა-გაყიდვა მთავრობის მიერ აკრძალული იყო და სასამართლოს საშუალებით ყოველთვის შეიძლება ნასყიდობის ხელწერილის გაბათილება, როგორც უკანონოთ შედგენილ საბუთისა, ამიტომ ცხადია, რომ გამარჯვება სასამართლოს პროცესში მემამულის დარჩება. მაგრამ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის საშინელი შედეგები, რაიც მოჰყვება მას.

ამ შემთხვევაში საჭირო იქნება დიდი ენერგიის დახარჯვა მთავრობის მიერ, რომ დაკმაყოფილებულ იქმნენ დაზარალებულნი; და, რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა დამფუძნებელმა კრებამ თუ მთავრობამ დროზედ მიაქციონ ყურადღება ამ არა ნორმალურ მოვლენას და მიიღონ ზომები, რომ მშრომელ გლეხკაცებს არ წაერთვას ის მამულები, რომელიც მათ თავიანთ ოფლით შეიძინეს.

ვიქტორ ვახნაძე.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: ვერ ვიზიარებ რა სრულებით საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და დამფუძნებელ კრების ფრაქციის ტაქტიკას მთავრობის პოლიტიკის მიმართ — გავდივარ პარტიიდან.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ზ. პოპუა.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

იყიდება
ერთი დიდი სარკე
ზომა 28—14. თეატრის შესახვევი № 11, ბინა 1.
(3763 1—1)

ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე. რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(23—დეკ.)

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ რაც
დაიკარგა
ჩემი შვილი გიორგი ალექსანდრეს ძე ბზიშვილი. ბევრი ვეძებეთ და დღესაც ვეძებთ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს გთხოვთ უმორჩილესად გვაცნობოთ შემდეგ ადრესით: ქ. გორი, ეთობის ხერხის ქარხანა, მჭედელს ალექსანდრე ბზიშვილს.
(3739—3—3)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12 - დეკ.

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35.
(18—დეკ.)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი მ. ა. შაჰრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] დებები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4 5 კვირაობით მხოლოდ დილით. [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38.
(26 ნოემბ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვ-ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკას ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ. № 28. ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606“ და „914“ შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ.
(13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოქტერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
(21 ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7, ს. კვირა დღის გარდა. ხიხილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმმა
ნიკოლოზ მახვილაძემ
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—11 ნახ. ს საღ. 5—7 საათამდე. 13—დეკ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვის და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—11 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ.

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ი. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოკროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყ. საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

საკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორდანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფებს დილის 8—12 საათამდე, ვენერიულს, სიფილისით (შამ. „606“ და „914“) ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის [illegible] დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)